F343
2001

დილაჯ

№1 2001 წელი

უმწეოლი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადარ:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადარ?

რედაქტორისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობათ!..

ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს – ახალ საუკუნეში, ახალი ათასწლეულის სათავესთან.

მინდა ყველამ იცოდეს: ამ შეხვედრას მხოლოდ იმ ქალბატონებს უნდა ვუმადლოდეთ, რომლებიც აქვე, ჟურნალის მომდევნო გვერდზე, არიან წარმოდგენილნი!

მათ ჩვენ შეგვიძლია, პირდაპირ ჟურნალ „დილის“ „საოცნებო ქალები“ დავარქვათ, თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელ გაუსაძლის პირობებში ჩვენი სატკივარი გულთან მიიტანეს და საუკუნოვანი ჟურნალი, არაერთი თაობის აღმზრდელი „დილა“, კვლავაც გადაურჩინეს თავიანთ შვილებსა და ქვეყნის მომავალს.

მადლობა მათ ამ დიდებული საჩუქრისათვის!

უნებლიეთ გვახსენდება სულმნათი აკაკის ნაბრძანები: ჩვენში, თუკი რამ გამობრუნებულა, ისევ ქალების მეოხებითო!

არადა, საქართველოს თავისი არსებობის მთელს მანძილზე რაღაც სასწაულის ძალით გაუძლია უთვალავი მომხდურისთვის და ერის მახასიათებელი სამი თვისებაც – ენა, მამული, სარწმუნოება – დღემდე შეუნარჩუნებია.

ეს სასწაული, უპირველესად, ქართველი ქალის სიბრძნე, რწმენის სიმტკიცე და გაუტეხელი ბუნება გახლდათ.

კაცობრიობის ისტორიაში უამრავი აზრი გამოითქვა ზოგადად ქალის ფენომენზე, ჩვენ კი, მოდით, ახალ ეპოქაში ახლებურად გავიაზროთ ქალის როლი სამყაროსთან თანაარსებობაში, რადგან ვიცით, ქალის შექმნას უდიდესი საკრალური და მაგიური წინაპირობა უდევს საფუძვლად – როცა უფალი სამყაროს ქმნიდა, მან ქალს გამორჩეული მისია დაკისრა.

მართალია, ევა შეიქმნა ადამისათვის და ადამის გამო, მაგრამ არა მარტოობის დასაძლევად, არა ადამის ეულობით გამოწვეული სევდისა და მოწყენილობის გასაქარვებლად!

უფალმა ადამში – მამაკაცურ საწყისში – კოსმიური ძალა და ენერგია ჩაღო, რომელსაც ერთდროულად ხელეწიფებოდა ნგრევაც და შენებაც. ამიტომაც ამ ძალის მაორგანიზებლად და მომწესრიგებლად ღმერთმა ამქვეყნად ევაც მოავლინა.

მეტიც! ყოელისშემძლე უფალს ყოველნაირ პირობებში შეეძლო ძე კაცისად გარდასახულიყო და ამ ფორმით მოვლინებოდა ცოდვებით დამძიმებულ კაცობრიობას. მან კი ერთადერთი გზა ირჩია – ქალის მუცლიდან მოევლინა ქვეყანას.

ეს ღვთაებრივი მადლი ქალწულ მარიამს ერგო წილად!

შემდგომ, ღვთისშობილ მარიამს საქართველო ერგო წილად!

ხომ არ იმალება ამ მოვლენაში რაღაც დიდი და ღვთაებრივი საიდუმლო?

„მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...“

იქნებ, არც ის არის შემთხვევითობა, საქართველოს ქალი რომ მოევლინა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მომქცევად და განმანათლებლად!

იქნებ, არც ისაა შემთხვევითობა, სწორედ ქალმა, ნანა დედოფალმა, პირველმა რომ აღიარა ჭეშმარიტი სარწმუნოება?

და იქნებ, არც ის იყო უბრალო შემთხვევითობა, სულისა და რწმენის სიმტკიცის საოცარი მაგალითი რომ უჩვენა მთელს კაცობრიობას წამებულმა ქეთევან დედოფალმა? – „ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა, უდრეკ იყო დედოფალი...“

გავიხსენოთ მეფეთ-მეფე თამარი, ყოველთა ქართველთა საფიცარი, და სალოცავი!

რომელიც „იყო ქმნილ-კეთილი დაყოვლიათურთ უნაკლო... ქვეყნის საჭეთმპყრობელი“ და რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ამოჰკვეთა და, საერთოდაც, „სანთელი იყო გონიერთა და დამწუელი უგუნურთა“!

მაშინ საქართველოში ოქროს ხანა იდგა.

დღეს საქართველოს ჭირი მოსძალებია, თავისი ხალხის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა დაჰკარგვია, სიმართლის, სიკეთის კეთების ხალისი გაჰქრობია, თანაგრძნობისა და მშვენიერების აღქმის უნარი დაუკარგავს!

„დედანო! თქვენზე ბევრია დამოკიდებული. ისევ თქვენ უნდა გადაარჩინოთ საქართველო თქვენი თავდადებული სიყვარულით...“ ბრძანებს მისი უწმინდესობა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

უფრო ადრე სულმნათი აკაკიც ამასვე ბრძანებდა – ჩვენი მომავალი ქართველი ქალების ხელშია!

ამ თვალსაზრისს ხალხიც ეხმიანება და ქვეყნის გადარჩენის იმედს ლეგენდებშიც ინახავს!

აი, ერთი მაგალითიც:

„თამარი აქამდისაც არ მომკვდარა. იგი ახლაც ასვენია ოქროს კუბოში, სადღაც მთებში, გამოქვაბულში, საუკუნეობრივი ძილით შეპყრობილი, მაგრამ მოვა დრო, ის გაიღვიძებს, გაადებს გამოქვაბულის კარს და მაშინ დადგება დღე საქართველოს ბედნიერებისა, დღე ქართველი ხალხის სულიერი განახლებისა“.

ქართველ ხალხს ისევ ქალის იმედი აქვს!..

ქალების იმედი გვაქვს ჩვენც, ჟურნალ „დილის“ რედაქციას, და, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ როცა ჩვენი ჰატარების საყვარელ ჟურნალს ყველაზე მეტად გაუჭირდა, როცა, შეიძლება ითქვას, მისი ყოფნა – არყოფნის საკითხიც კი დადგა, ისევ ქალებმა გამოგვიწოდეს დახმარების ხელი!

სწორედ მათი შემწეობით გამოვიდა „დილის“ ეს ნომერი. როგორც თავად ნახავთ, იგი მთლიანად ქალების მიერ არის მომზადებული და მის ფურცლებზე ამჯერად მხოლოდ „სუსტი სქესის“ წარმომადგენელთა შემოქმედებას გთავაზობთ – იმ რწმენით, რომ არც ისე „სუსტები“ ვართ!

ძვირფასო მკითხველო, მოდით, მთავარში ახლავე შევთანხმდეთ, რომ ახალი ათასწლეულის, ახალი საუკუნის მთავარი ბურჯი, იმედი და მამოძრავებელი იმპულსი ისევ ქალი უნდა იყოს!

ეს ასე იყო ისტორიულად, და ასევე უნდა იყოს მომავალშიც.

ლიდო ნიკნიკაძე

ნარგიზ ქარჩავა –
200 ლარი (ოზურგეთი)

ნელი მაისურაძე-
ფიქფიქაძე –
1000 ლარი (ქუთაისი)

რუსუდან კაგნიძე-
ბერგიბერიძე –
200 ლარი (თბილისი)

ია სულაბერიძე –
200 ლარი (რუსთავი)

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?

ლია ნაკაშიძე-ტაბატაძე
– 200 ლარი (კაზრეთი)

ანი მამაცაშვილი –
300 ლარი (თბილისი)

მანანა ჩუხრუკიძე –
200 ლარი (გორი)

ქეთევან ბზიშვილი-
ჩხეიძე –
200 ლარი (თბილისი)

ნინო მამარდაშვილი –
200 ლარი (თბილისი)

ნანა გოთუა –
200 ლარი (თბილისი)

ნატა თათარაშვილი –
200 ლარი (თბილისი)

ნანა ხუნდაძე –
200 ლარი (თბილისი)

მელანო ტორონჯაძე –
170 ლარი (თბილისი)

მარინა გუნია –
150 ლარი (თბილისი)

ციცინო ტოგონიძე –
100 ლარი (თბილისი)

„საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავს.

იტალიელი
დელა პორტი.

შენს სილამაზეს, ქართველო ქალო, ვინ შეედრება.

ალექსანდრე პუშკინი.

ყველა ევროპელი, რომელიც საქართველოში მოხვედრილა, ერთხმად ლაპარაკობს ქართველი ქალიშვილების სრულიად გამორჩეულ მშვენიერებაზე.

კანტი.

ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია, არიან მაღალნი, კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად ტანწვრილნი.

ფრანგი მოგზაური
ჟან შარდენი.

ქართველი ქალები ყველანი ლამაზები არიან... ტანი მეტად სწორად უჭირავთ, ხმა ტკბილი აქვთ და იშვიათად აიმაღლებენ. მეტად კოპწიანი არიან, ფერუმარილი და ნელსაცხებლები ძალიან უყვართ.

ფრანგი მოგზაური
ჟან მორანი.

მშვენიერი ქართველი ქალების სახეებს მე სულ სხვა სამყაროში გადავყავარ.

კონსტანტინე
ბალმონტი.

რედაქციისაგან:

ძვირფასო ქალბატონებო, „დილის“ რედაქცია კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ სიკეთისათვის, რაც ჩვენი ჟურნალის მიმართ გამოიჩინეთ! ამასთან გვინდა იცოდეთ თქვენც და ჩვენმა მკითხველმაც – ჟურნალის ამ ნომერმა დღის სინათლე მხოლოდ მას შემდეგ იხილა, როდესაც თქვენგან შემოწირული თანხას ჩვენი მხრიდან მოკლე ვადით აღებული სესხიც დავუმატეთ.

ასევე გვინდა მადლობა გადავუხადოთ იმ ქალბატონებს, რომლებმაც ბავშვებისათვის განკუთვნილი ჟურნალის გასაჭირი გულთან კი მიიტანეს, მაგრამ დღევანდელი შეჭირვებული მდგომარეობის გამო ჩვენი დახმარება ვერ შეძლეს!

F-8273

„ვანმარგალითი ლექსიკონი"

ა

აბუდედა — ავტობუსი
ადიო — მაწონი
ამაპი — ატამი
ამაჯობა — გამარჯობა

ბ

ბაბუ — კარტოფილი
ბობოლი — ბორბალი
ბუტეთი — ფეხსაცმელი

გ

გრაალა — მრგვალი
გესეპეწი — გეხვეწები

დ

დაპეწება — დაწებება
დაპული — ხაჭაპური
დოდოლი — ტრაქტორი

ე

ეფოშტოტი — ველოსიპედი

თ

თეთითო — მე თვითონ
თუდუ — ქუდი

კ

კაპაწი — ჭიქა
კაპილა, კაფოკალი — კარტ-
ოფილი
კახვი — კვახი
კომანდორი —პომიდორი
კრინა — რკინა

ლ

ლულა — საწოვარა

მ

მონევე — მეორე

პ

პახერო მახერო — პარიკმახერი

ს

სიპლო — სპილო

ტ

ტაუ-ტაუ — ტრამვაი
ტარტალიოტი — ვერტმფრენი
ტვირტი — კვირტი

უ

უტურე-უტურე — უყურე

ქ

ქიმშიში — ქიშმიში

შ

შოკოტილი — შოკოლადი

ჩ

ჩარი ჩაფლავი —
ჩარლი ჩაპლინი

ძ

ძიწილა — წიწილა

წ

წერილების გამყიდველი —
ფოსტალიონი

ხ

ხე პაჭიჭი — ხელთათმანი
(გაგრძელება იძნება)

იგ რა ოცნაურ ჯიუანაში გამოვიოვიძეთ!

წესელიან ბიჯი დაბადებულა,
...დაურქმევიათ თურმე დავითი...
წესელიან ეთეოც დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე თაქარი...

ვანო გოგიბერიძე

მარიამ ქალდანი

გიორგი ფოფხაძე

ნუცა ჭინჭარაშვილი

ვატო ნინიკაშვილი

ნიკოლოზ ნინიკაშვილი

ლაშა ფოცხვერაშვილი


ნია ყარაულაშვილი

გიორგი გუგულაშვილი

რუსუდან წერეთელი

საბა ქარსელაძე

ნინო ხვედელიანი





ანა კალანდაძე

მოდიოდა ნინო მთებით

ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნული ყვაოდა მას ჟამსა.
ნინო

ლურჯ მწვერვალებს ქარი რბისფერ ნისლში ხვევდა
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი.
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი, –
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა:
– რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა:
– საქართველო არის ესე!
მიეძინა,... ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს. ო,
ეს... ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
– „ნუ გეშინინ!“ – მიუგებდა იესო.
გაელვიძა... წუთით იგრძნო შშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...

ქეთევან დედოფალი

რვალის ქვაბი მოეთრია ქონდაქარსა,
ცეცხლს აგზნებდა
კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
ზე მიჰქონდა, ღრუბლისაკენ, ცეცხლი ქარსა,
ქროდა ქარი...
თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,
ტინად იდგა დედოფალი...
თმა დაშლოდა, თავი ნაზად დაეხარა,
სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა...
ლოცულობდა...
როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:
„არასოდეს“!
დაფდაფებს ჰკრეს განარისხთა,
ცხელი შანთი მიუტანეს ბროლის მკერდთან,
ცხელი რკინა,
საქართველოს გულს რომ კვეთდა.
რვალის ქვაბი გადმოეგდო ქონდაქარსა,
ღიღინებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
ქროდა ქარი...
ცეცხლით სწვავდნენ
ტანშეძარცულ დედოფალსა,
უდრეკ იყო დედოფალი!

ილუსტრაციები ლეონიდა ჭანკაძის

ანრი ანჩაბაძე

გუგული ტოგონიძე

იის პაწაწა ფერია

ამბობენ, ყვავილებში პაწაწა, ციცქნა, წერტილისხელა ფერიები ცხოვრობენო. ყვავილებიდან ღამით ამოდიან, მაშინ, ყველა სულდგმულს ღრმა ძილით რომ ჩაეძინება. ისეთი პაწიები არიან, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ დაინახავ.

არ გვჯერათ მათი არსებობა? მაშინ მითხარით, თვალით აზრს, გონებას, სიყვარულს, სულს ხედავთ? ვერა. ჰოდა წერტილისტოლა, ერთი ბეწო ფერიებს, თანაც სიბნელეში, როგორ დაინახავთ? მაგრამ მათზე რაღმე ამბავი რომ შეიტყოთ, ეს კი შეიძლება.

...ქალაქის ერთი უსახური, ჩანაცრისფრებული დასახლების პატარა გაზონში იან, ყვავილში მოკალათებულმა ნამცეცა გოგოცუნამ გაიღვიძა. ირგვლივ მიმოიხედა, არემარე ესხვაფერა და თავგზააბნეულმა წამოიძახა:

– ღმერთო, სიზმარში ხომ არა ვარ? – თვალები დახუჭა. რომ გაახილა, გულმა შემოჰკვენესა, რაც დავინახე, სინამდვილე ყოფილაო. აფორიაქდა:

– საიდან გავჩნდი აქ? რა უნდა ვქნა? – მწარე ფიქრით გაბრუებულს უცებ გაახსენდა: „იქ, ტყის განაპირას, ბავშვები მოვიდნენ, მიწიდან ამომთხარეს... თავბრუ დამეხვა და გონება დავკარგე. ახლაღა მივხვდი, თურმე წამომიყვანეს და აქ, ჩემთვის უცხო ადგილას ჩამრგეს. ღმერთო?! გვერდით აღარ მყავს ველის ტურფა ყვავილები, ლიკლიკა ზყარო. ალბათ, ფრთახატული პეპელასაც ვეღარ დავინახავ, ვეღარც ჭიამაიებს, ბალახებში ათასგვარ ჭრრსა და მართალს რომ ჰყვებოდნენ.

აქ უცნობი, გაფუყული ყვავილები არიან. ისე ამაყად დგანან, არც კი ირხევიან. მე კი მოცეკვავე ყვავილებთან მინდა. აქ ისეთი არავინ ჩანს, მისმა დანახვამ სიხარული რომ მომგვაროს“.

ფიქრში წასული ია მანქანის გაბმულმა საყვირმა შეაკრთო. შიშით კინაღამ გული საგულედან ამოუვარდა. ეს რაღა ჯანდაბაა, – აკანკალდა. წამწამზე ცრემლი დაეკიდა. დამწუხრებულმა თვალი მაღლა აღაპყრო და ზეცას შეჰღაღადა: – ჩემო ბფარველო ვარსკვლავო, მიშველე რამე!

ამბობენ, ბალახსა და ყვავილებს თავიანთი მფარველი ვარსკვლავები ჰყავთო. იმასაც ამბობენ, ვისაც ეს არ სწამს, უბედურიაო. დაამთავრა თუ არა გოგოცუნამ ვედრება, ნაცნობი ქროლვა შემოესმა. გული შეუქანდა და ხმამაღლა შესძახა: – ნუთუ ველიდან ნიავბიჭუნა მოფრინდა?!

– ჰო, მე ვარ, – შეეხმიანა ცელქი ნიავი. ნამცეცა ფრთები ძირს დაუშვა, იას წინ დაუსკუბდა და ატიტინდა:

– შენი მუდარა შემომესმა. ვარსკვლავს შველას სთხოვდი. ვიგრძენი, შორს იყავი... ახლაც მიკვირს, ამ სიშორიდან, რანაირად გავიგონე? ეს კია, რაღაცა ძალამ ზეზე წამომაგდო და აქეთ ისარივით გამომტყორცნა.

– ზეცამ ჩემი თხოვნა ისმინა, ახლა მარტო არა ვარ. ხმის გამცემი არავინ მყავდა. მოხვედი, ნიავო და ბედნიერება მეწვია. თან ველის ყვავილების მთრობელა სურნელი მოგვყვა.

– ეს ჩემი მოსასხამის კალთიდანაა. მზიან მინდორზე იმდენნაირი ბალახ-ბუალახი და ყვავილია, თვალს ვერ აუხვალ. მეთამაშებიან, კალთაზე მებღაუჭებიან ხოლმე. იცი? მათგან ხამკურნალო, ჯადოსნური წამლები კეთდება და მიხარია.

–

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

ეთერ ამირანაშვილი

შენ ყოველთვის ხალისიანი ხარ, ნიავო.

– ქვეყნად ბევრი საოცრება არსებობს და ეს მახალისებს.

– არსებობენ კი ეგ საოცრებები? – დაეჭვებით იკითხა იისფერიამ, მაგრამ თავისივე ნათქვამის შერცხვა და წაილუღლუღა: – რა სისულელეს ვამბობ. მართლაც არსებობს, ბევრი, ძალიან ბევრი საოცრება: მზე, ნაკადული, ცის ნამი, ვარსკვლავები... რომელი ერთი ჩამოვთვალო? შენი გამოჩენაც ხომ საოცრებაა.

– სხვა დროსაც მოხვალ? – თრთოლვით, მორცხვად ჰკითხა შემდეგ.

– მოვალ... არ მიგატოვებ, – ააშრიალა ფრთები ნიავბიჭუნამ. იას ბაგეზე ეამბორა და გაფრინდა.

გუშინ სიხარული ჩაუბუდდა ნამცეცა გოგოცუნას. სიზმარში თუ ცხადში ნიავბიჭუნას უღიმოდა, ეხვეოდა. მის მოფრენას მოუთმენლად ელოდა. ის რომ მოვიდოდა, ყველაფერს მზისფერი ეფინებოდა. აწოწილი, ნაცრისფერი სახლებიც უსახურნი და საშიშნი აღარ ჩანდნენ.

– ამხელა გზა გამოიარე, არ დაიღალე? – ჰკითხავდა მორიდებით.

– სიკეთეს რომ ვაკეთებ, გული სიხარულით მევსება. სიხარული ძალას მაძლევს და დამაფრენს, დაღლას ვეღარ ვგრძნობ, – უპასუხებდა დიმილით ნიავი.

ერთხელ, ნიავბიჭუნამ იის გოგოცუნას ალერსით უთხრა:

– პირველად რომ განახე, სახეზე მწუხრისფერი გედო. ახლა სხვა ფერისა ხარ.

– მაინც რა ფერისა? – გაიკვირვა იამ.

– გაზაფხულის ფერისა...

– გაზაფხული რა ფერისაა? – წამწამები ააფახულა პაწაწა გოგოცუნამ.

– ქვეყნად რამდენი ყვავილის ფერიცაა...

– საიდან გაჩნდა მაინც ამდენი ყვავილი? – გაიკვირვა ისევ იისფერიამ.

– აქეთ-იქით რომ დავქრი, ბევრ რამეს მოვისმენ ხოლმე. გავიგონე... როცა ქვეყნად ბავშვები იცინიან, ველზე ახალ-ახალი ყვავილები ჩნდებიანო. მათი ღიმილი ყველაფერს გაზაფხულის ფერს ჰფენს. – თქვა ნიავბიჭუნამ და ჩაფიქრდა. ჩაფიქრდა იის პაწაწა ფერიაც, მერე გაუბედავად ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაილაპარაკა:

– სიყვარულიც გაზაფხულის ფერისაა?

– ჰო, ის სიხარულით ავსებს ქვეყანას. საოცრებებიც ამიტომ ხდება. გაზაფხული და სიყვარული ზღაპარივით ერთად დააბიჯებენ დედამიწაზე.

მხატვარი
მანანა მორჩილაძე

ბავშვთა

ბიბლიოთეკა

სალომე ომბიაძე

მანანიკო ამბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, დიდი ხნის შემდეგ ისევ ვხვდებით ერთმანეთს. შეგახსენებ ადრე თქმულს, რომ ცოდნით ყველა ნატვრის ასრულებაა შესაძლებელი. მოდი, დღეს ის დიდი ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგათ, ცოტათი კიდევ მივუახლოვდეთ ხვითოოს (ნატვრისთვალს), რომლის მფლობელიც, მჯერა, აუცილებლად გახდები.

ყველაფერი დიდი ხომ მცირეთი იწყება. სულ ციცქნამ პატარა ცოდნა უკვე გამოამჟღავნე, როდესაც ენა აიდგი და საგნებს სახელი დაარქვი, ალაპარაკდი დედაენაზე. ამის შემდეგ თავისუფლად მეტყველებ, ყველაფერი ადვილი და ნათელია შენთვის იმიტომ, რომ ეს ენა შენი მშობლიური ენაა, შენი დედაენა. ჰოდა, უწინარეს ყოვლისა დედაენის კარგად ცოდნა გმართებს, ის არის სხვა ცოდნათა გასაღები. ქართველმა ხალხმა შემთხვევით არ უწოდა მას დადაენა, დედასავით მთავარს, ახლობელსა და საყვარელს.

იაკობ გოგებაშვილმაც „დედა ენა“ დაარქვა თავის წიგნს, რომელიც 124 წელია დედაენასავით ახლობელი და საყვარელია ყველა პატარა ქართველისათვის. აი, პირველ სათქმელსაც მივადექით. **დედაენა, თუ ის მშობლიური ენის მნიშვნელობით იხმარება, ერთად იწერება — დედაენა,**

ხოლო თუ წიგნის სახელია, ცალ-ცალკე — დედა ენა.

ჩვენს წინაპრებს კიდევ ბევრი რამის სახელდება დაუკავშირებიათ დედასთან. დედააზრი, დედაბოძი, დედაქალაქი, დედასამშობლო, დედაბურჯი, დედამიწა, დედანი — ეს ის სიტყვებია, რომლებშიც „დედა“ მთავარს, ძირითადს ნიშნავს. დაიმახსოვრე, ყველა ეს სიტყვა ერთად იწერება.

„დედა“ ბევრი სხვა სიტყვის ნაწილიცაა. შემდეგ [illegible]ყვებში ის მდედრობით სქესზე მიუთითებს: დედაბერი — მოხუცი ქალია; დედაკაცი — ასაკგადასულ გათხოვილ ქალზეც ითქმის, ქმარიც შეიძლება ასე მიმართავდეს ცოლს, ძველად შინამოსამსახურესაც ამ სიტყვით იხსენიებდნენ და ზოგჯერ კაცსაც კი, თუ მისი დამცირება უნდოდათ. დედალი — მდედრობითი სქესის ფრინველი, ცხოველი ან მწერია. ეს სიტყვებიც ერთად იწერება. თუ ცხოველს ან ფრინველს შვილები ჰყავს და ამის აღნიშვნა სურთ, ისევ „დედა“ სიტყვას იშვლიებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ცალკე იწერება: დედა კატა, დედა ღორი, დედა ჩიტი, დედა მწერი და სხვ.

ზოგიერთი სიტყვის დღევანდელ ფორმაში „დედა“ ძნელი საცნობია. ასეთებია: დედოფალი (დედა უფალი)), დეიდა (დედის და), დეიდაშვილი (დედის დის შვილი). უფრო ადვილად აღმოაჩენ „დედას“ სიტყვებში: დედობილი, დედინაცვალი, დედისერთა, დედაშვილობა, დედობა, დედმამიშვილი. ეს სიტყვები ერთად იწერება.

ყურადღება! დეფისით უნდა დაწერო:

დედა-შვილი, დედ-მამა, დედობილ-მამობილი, დედალ-მამალი

მოდი, დღეისათვის ეს ვიკმაროთ და ჩვენს საუბარი ამ ანდაზით დავასრულოთ: **„კარგი შვილი დედის გულის ვარდია.“**

აბა, შენ იცი, კიდევ რამდენ რამეს აღმოაჩენ ჩვენს ლამაზსა და მადლიან დედაენაში.

მხატვარი თეა მიქაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკითხეთ ბავშვებს

თაკო ავლოხაშვილი

ლალი ჯაფარაშვილი

ძილის წინ

- სანამ შენი გავხდებოდი
სად ვიუავი, დედა?
- იმ დღანა ვარსკვლავებთან,
ცის თაღზე რომ ხედავ!
- მერე როგორ ჩამოვედი,
ფრთები მქონდა წინათ?
-ანგელოზმა მოგიყვანა,
ჩემო პაწაწინა!
- ანგელოზი როგორია?
მინდა ვნახო, დედა!
- დაიძინე და სიზმარში
შენთან მოფრინდება!

ნინო პრსენიშვილი

საუკუნეს ახალს

გაუხსენით არტახები
საუკუნეს ახალს.
გზა მართალი ღმერთმა კიდევ
თუკი დაგვანახა.
ლამაზ სიზმრებს,
ფერად სიზმრებს
მაშინ ცხადად ვნახავთ...
გაუხსენით არტახები
საუკუნეს ახალს...

მარიამ წიკლაური-ძიძიგური

კარგად გავხდები ხვალე

ეგვაგს ჩემი ხვეალა ვაჩუქე,
სულ ჩაეხოინწა ხმა,
ვეღარც სიმღერა ამღერა,
ვეღარც ლექსები თქვა.
ალარც თამაში არ უნდა,
ხის კენწეროზე თელქმს.
თავი პრასით აქვს გაკრული,
ძახველს ჯაშს მთელი თვე.
სიცხე წაიღო თაგუნამ,
გააღუღუნებს სოროს.
ბუხარსაც ააგიზგიზებს
კეცებს შემოდგამს ორ-ორს,
ხედ გამხმარ სოკოს შებრაწავს,
ხანაც მოხალავს კაკალს,
ოჯახსაც გამოაზამთრებს
და ერთ-ორ დარიბ დაქალს.
თავის ტკბილი ჯინჯველას
ავკიდე ზურგზე გუდით,
ცხინკა-ჯინკას კი თავადვე
ქვა ვასროლინე კუდით.
წამლები? - ჩიტმა აკენკა
თეთრიც, წითელიც, მწვანეც.
- წი, წი, მითხარი, ჩიტუნავ,
ტკბილი იყო თუ მწარე?
- არც მწარე გახლდათ, არც ტკბილი,
აგჩიკჩიკედები ძალე.

მსტვარი ნინო ჩაკვეტაძე

თეთნა ბელთაძე

ბალადა

ცირა ქიტიაშვილი

ადგილის დედის დანაბარები

ნუ გაშინებს გასაჭირი,
ნუ გამშვიდებს მიღწეული,
სიზარმაცეს ნუ ახარებ,
ბოროტია ის წეული.
ბაბაშენი ოჯულს რომ ღვრიდა,
იღლებოდა გუთნეული,
ცისარტეველა ბრწეინდებოდა
მიწა იო კურთხეული.
შენთვის, შენთვის ირჯებოდა,
უნდა იო ღირსეული.
ციხეს მტერი გიოხრებდა,
ასი ერთზე მისეული.
იქ ერეკლე რკინას კვნეტდა,
ნახმლეეიც ჩანს მისეული.
სამომავლოდ გზას გიკვლეედა,
უნდა იო ღირსეული.
ტაძარს ბერი გიშენებდა,
მარტოდ მეოფი ღვთის ეული.
თაფლის სანთლად იღვრებოდა
ნატვრა მისი თვითეული.
შენთვის, შენთვის ლოცულობდა,
უნდა იო ღირსეული.
ნუ გაშინებს გასაჭირი,
ნუ გამშვიდებს მიღწეული,
სიზარმაცეს ნუ ახარებ,
ბოროტია ის წეული.
ეველა ჭირზე საშიშია,
ჭირი კაცთან მიჩვეული.
მომავალი მტკიცედ ჭედე,
შვილო, იუავ ღირსეული.

ლიდა სტვილია

* * *

ბარდში შემერა ჩიტუნა,
ეშინია მერის!..
მდეეარს ციდან უთვალთვალებს -
მერასაც ჰეავს მტერი!
ორბს ხედავს და... შიშისაგან
კრთება ფრინველ-მწერი,
თოფს უმიზნებს კაცი უდვთოდ, -
იმ ორბსაც ჰეავს მტერი!
... მგელი ...ეველას კი მტრობს, მაგრამ
მგელსაცა ჰეავს მტერი!..
ჰოდა, რაღა სხვა და სხვაზე
გავაგრძელო ბეური,
ბატარებო! ეველასა ჰეავს
თავ-თავისი მტერი!
სანამ უნდა დავდიოდეთ
შეშინებულ მზერით?..
დიდი, დიდი შერიგების
დადგა უკვე ჯერი,
არასოდეს ადარ გავხდეთ
ერთმანეთის მტერი!

მხატვარი
თამარ ქალდანი

ლუარა გორდიევიჩი

ეარ ღირს მათი შეწუხება...

იყავით ფრთხილად!

21-ე საუკუნის პირველი წელი ჩინური კალენდრით გველის წელია.

ქრისტიანულ ქვეყანაში გველს ცუდი რეპუტაცია აქვს. აზიის ქვეყნებზე ეს არ ითქმის. იქ მას მიაწერენ სიბრძნეს, შორსმჭვრეტელობას, ნებისყოფას.

იაპონიაში, როდესაც ქალის გულის მოგება სურთ, ჩვეულებრივ, ასეთ ქათინაურს ეუბნებიან: „ძვირფასო, თქვენ ნამდვილი გველი ხართ“. ეს სიტყვები სხვაგვარ მნიშვნელობას შეიძენდა დასავლეთის ქვეყნებში.

გველს ეთაყვანებოდნენ უძველესი ეგვიპტელები. ფარაონების თავსარქმელზე გველი იყო გამოსახული, რაც ძალაუფლებასა და ძლევამოსილებას გამოხატავდა. ეგვიპტელები ოჯახში შვილებთან ერთად ზრდიდნენ შხამიან გველებს და ისინი მათ არ ერჩოდნენ. იქაურებს სწამდათ, რომ ამ ქვეწარმავალს ოჯახისთვის ბედნიერება მოჰქონდა, რომ ის მხოლოდ ბოროტ ადამიანს კბენდა. მას უწოდებდნენ ასპიტს ანუ კლეოპატრას გველს.

მედიცინაში ფართოდ გამოიყენება გველის შხამი სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ალბათ, გინახავთ მედიცინის ემბლემა გველის გამოსახულებით. ამბობენ, ექიმს გველის სიბრძნე და არწივის თვალი უნდა ჰქონდეს. თვით სახარებაშიც კი ნათქვამია, რომ ადამიანი უნდა იყოს გველივით ბრძენი და მტრედივით მშვიდი.

არსებობს გველის სხვადასხვა სახეობა: ანკარა, ასპიტი ანუ გველგესლა, ანაკონდა, სათვალიანი კობრა, კავკასიური გიურზა... მათი უმრავლესობა წყალში ისე კარგად დაყელყელაობს, ყვინთავს და ისე დიდხანს ისვენებს ფსკერზე, რომ საუკეთესო მოცურავესაც კი შეშურდება. გველი ხმელეთზეც თვალმიუწვდენელი სისწრაფით დასრიალებს, ხეზეც სწრაფად დაცოცავს. იკვებება მწერებით, ბაყაყებით, თაგვებით, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი ისე დიდია, შინაურ ცხოველებზეც კი ნადირობს.

გველი გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში – ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში, ინდოეთში.

ჰოროსკოპის მიხედვით გველის ნიშნით დაბადებული მოაზროვნეა, სიტყვაძუნწი, აქვს შესანიშნავი ინტუიცია. ასეთი ადამიანი, თუკი ცოდნასა და განათლებას შეიძენს, შეიძლება ბრძენი გახდეს და წინასწარჭვრეტის უნარიც მიეცეს.

ჩემო პატარა მეგობარო! თუ გველის წელს დაიბადე, ყველა ამ საუკეთესო თვისებით დაჯილდოებული ხარ, მაგრამ მიზანს მხოლოდ შრომითა და ბეჯითი სწავლით მიაღწევ.

სვებედნიერი იყოს შენთვის მესამე ათასწლეულის პირველი ახალი წელი, ახალი საუკუნის ახალო მესაჭვე!

მხატვარი სალომე პაიჭაძე

ეკა ჭარხალაშვილი

თაკო ჭარხალაშვილი

დავით ქუთათელაძე

გიორგი დემეტრაშვილი

გიორგი სვანაძე

თბილისის სკოლა-ლიცეუმ **„ლეონიდეს“** მოსწავლეები გილოცავენ ახალი საუკუნის შემობრძანებას!

ანი კორძაძე

ბელადენა

ნუ შეგიდუდავთ თქვენს ფანტაზიას. იქნებ პატარა სათავგადასავალო მოთხრობაც დაწეროთ და გამოგვიგზავნოთ.

ფანტაზიები

ასეთი ლამაზი გემის გაკეთება და მეგობრებთან ერთად ოცნებებში მოგზაურობა თქვენც შეგიძლიათ. ხომალდს ერთი საოცარი თვისება აქვს, ის გლობუსზე აღნიშნულ ნებისმიერ ქვეყანაში მიგიყვანთ.

დაუკავშირეთ სპორტული ინვენტარი შესაბამის ჩაცმულობას. კროსვორდის უჯრებში ჩაწერეთ სპორტის ის სახეობები, რომლებშიც ამ ინვენტარსა და სამოსს იყენებენ.





მხატვარი თეა მიქაია



ლევან გოცაძე

ზოია ვაშაკიძე

აკვანთან

ადუ, ადუ, კიჟი-კიჟი,
გაიზარდე დიდი ბიჟი.
შენი სუნთქვა გადაეგლოს
მშობელ მიწას, მთებს ცად მიჯრილს,
შეეთხოვ უფალს, - სიკეთის და
სიყვარულის მოგცეს ნიჟი.
მკურნალობდე ერის წულულებს
იბეჯითო, რა შეგიშლის.
ღირსეულად ამაყობდეს
შენით, შენი გვარი, ჯიში.
თუ სამშობლომ გცნო კარგ
შვილად
მე რა მომკლავს,
მე რა მიჭირს...
ადუ, ადუ, კიჟი-კიჟი
გაიზარდე დიდი ბიჟი.

ნაზი თარგამაძე

მთვრალი ბაყაყი

ერთხელ, ცელქზე ცელქზე ცელქი
ახტაჯანა ბაყაყი,
თავს ირთობდა ცეკვა-ცეკვით,
ხტუნვითა და მალაყით,
სკუპ... და უცებ, ქვაბში მოხვდა
რაშიც იყო არაყი,
ტეკპ... და ხითხე შეტორტმანდა,
ხმა გამოსცა ლაყლაყის;
მწარე გემო იგრძნო ჰირში,
ყელი ჩასწვა არაყმა,
ხმაც დაკარგა უცებ შიშით
ახტაჯანა ბაყაყმა.
სიმწრით ახტა, დახტა, სკუპ... და
დიდი გარჯა-ჯაფითა,
როგორც იქნა ამოსკუპდა
არეიანი ქვაბიდან.
მაგრამ მუდამ თავმომწონე,
თავისი ხმით ამაყი,
ეიეინს ვეღარ ახერხებდა
მთვრალი იყო ბაყაყი.

ლინა ბარათაშვილი

ერის იმედი

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო!“

ილია

ბაზალეთის ტბის ნაპირებს
მოჰფენია ნათელი,
ოქროს აკვანში ღუღუნებს
ბაწაწინა ქართველი.
სწორედ მან
უნდა ამოთქვას
ერის დიდი
სათქმელი,
სწორედ მან
უნდა შეიძლოს
საგმირონი
საქმენი...

მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე

გიორგი თიკანაძე

გასეირნება

კვირა ისე არ გავა, რომ საზღაპრეთს არ ვეწვიო. უკეთეს ადგილს სად წავალ? დღევანდელ უფულობაში მუქთი მგზავრობა ხუმრობა საქმეა? ჩავჯდები ჩემს ფიქრომობილში და ჰერრია! ვნებავს, მთა-ბარი შემოიარე, ვნებავს, ოკეანე გადაცურე, ამ ტრანსპორტს სულ მწვანე შუქი უნთია!

მეც ვახსენე ღმერთი, პირჯვარი გადავიწერე და დავიძარ... მწვანე შუქს კი მივდევ, მაგრამ ამ ფიქრომობილსაც კარგი მართვა უნდა, თორემ თუ აუშვაა, მტრისას...

საზღაპრეთში ბევრი მოკეთე მყავს, სახლიკაცებს ხომ ნუღა იტყვით, – ეს მელაკუდაო, კუდიღილაო, ტუჩცმაცუნაო, ჩემი აცა და ბაცა, მარცვალა, ხარისთვალა, ქუმლია, ტუხო... მათი ნახვა ძალიან მახარებს. აგერა, იცნეს ჩემი „ფიქრო“ და მორბიან ჩემკენ შესახვედრად!

– დამენახვეთ ერთი, ჩემსავით თქვენც სიბერე ხომ არ წამოგეპარათ? – წინ წამოდგა კუდიღილა.

– ავტოროოო, არხეინად ბრძანდებოდეთ, ზღაპარი უბერებელია.

– ღმერთმა გვიმრავლოს მკითხველი.

– ბავშვების სამსახური მარადიულია. – ერთმანეთს სიტყვას არ აცლიდნენ ჩემი კალმის ჩამომავლები.

აქ ერთი კუნძი მაქვს ამოჩემებული სავარძლად ალვების ძირში. სულ ჟივილხივილით მიმაცილეს იქამდე და, ჩამოვჯექ თუ არა, ფეზაკრეფით შემომეცალნენ – უსაქმოდ არ იქნება მოსულიო.

საამოდ შრიალებდნენ ირგვლივ ხეები, მეც ვღიღინებდი. როგორ წამომეპარნენ მარცვალა და ხარისთვალა, ვერ გავიგე. შუბლზე ვეაბპორე ორივეს.

– ხომ მშვიდობით ხართ? ახალ წიგნშიც ხომ არ დაგვასახლეთ? – შემომისხდნენ აქეთ-იქიდან.

– თქვენით ვმხნეობ! ახალი წიგნისა კი რა მოგახსენოთ? წიგნი ვიღას ახსოვს...

– რას ბრძანებთ, ბავშვებს უყვართ ზღაპრებისა და მოთხრობების კითხვა, კარგი ლექსები...

– ღმერთმა გისმინოთ. უპრიანი იყო, პირველი სექტემბრისათვის საჩუქრად ახალი წიგნი მიმერთმია, მაგრამ... ლოცვით კი დავულოცავ სკოლის ზარს და წმინდა სანთელსაც დავუნთებ მათს მშვიდობიან ბავშვობას.

– ჩვენი სახელითაც დალოცეთ! – მთხოვა მარცვალამ, – ქუმლია და ტუხო სასექტემბროდ თვალითუხილავ თაიგულებს შეკრავენ და თავიანთი ჩოკინათი ჩამოურიგებენ ბავშვებს. იცით, ყვავილების რა ფირმა გახსნეს? ავტოროო, უნდა გაიცინოთ! – ფეზზე წამოხტა ხარისთვა-

ილუსტრაცია. ქეთევან ჭილაშვილი

ლა და, სანამ ამბავს დაიწყებდა, თვითონ იჯერა გული სიცილით.

– საქაფელა გაგიგიათ? საპონა ბალახია, ლამაზყვავილიანი, დანაყილს წყალში რომ გახსნით, ისე აქაფდება, იმპორტული მონაგონია იმასთან. ტუხომ სთხოვა, ეს ბალახი ჩვენს მიდამოზე გაახარეო.

– სულ მაგით ვიბან ხელებს. იცით, როგორ ღვრეჭს?! – ხელები მოიფშვნიტა მარცვალამ...

– სიტყვას რად მაცლი პირიდან? – შეუბღვირა ხარისთვალამ. – ჰოო, რას ვამბობდი? ჰო, იმასა... ქუმლიამ თურმე ეს ბალახი ღერო-ღერო დაგლიჯა და ერთი ტომარა საოთითაოდ გადმორგო. გათოხნა კიდეც, მორწყა კიდეც, მაგრამ პირწმინდად გადახმა! – ახარხარდა ისევ ხარისთვალა.

– ნელა, ბიჭო, არ დაიხრჩო! – ხელი წაჰკრა მარცვალამ.

– გიყვარდეს, ტუხომ კარგისა უთავაზა, სოფლის შვილი ხარ და არ იცით, უფესვოდ ძესულიერიც არა ხარობს, არამცთუ მცენარეო. ფესვი საიდანღა მომეტანაო? – იწირპლებოდა ქუმლია, – თესლი უნდა მოგებნიაო, – გაცხარდა ტუხო, მაგრამ...

– მარჯვე გოგოა, ზოგ რამეში ტუხას სჯობნის კიდეც, – გამოექომაგა მარცვალა დობილს და ხარისთვალას კოპები შეუკრა.

– თვითონ სად არიან, არ ჩანან.

– მთავრობაში წავიდნენ საკონტაქტოდ პრივატიზაციის თაობაზე, მიწის ფართს თხოულობენ! – ამცნო ხარისთვალამ.

– სიტუაციამ მოითხოვა, საქაფელაზე დიდი მოთხოვნილებაა, – განმიმარტა მარცვალამ.

– ავტოროო, ფერი წაგივიდათ, ცუდად ხომ არა ხართ? – შეშფოთდნენ ორივენი.

– თქვენ, თქვენ რაღას იქმთ?

– ჩვენ მეძროხეობის ფერმა გვაქვს, – თვალი გამისწორა ხარისთვალამ.

– „ბოჩოლა“, – გაიბადრა მარცვალა.

– მარცვალო, გაიქეცი და ჩვენს ავტორს ერთი შენი ამოყვანილი ყველის გუდა ამოურბეინე, – უთხრა ხარისთვალამ და თან წარბების თამაშით ანიშნა – მალეო!

– არაფრის დიდებით! – ხელები გავასავსავე. – საზღაპრეთი, ასე თუ ისე, სხვა ქვეყანაა. საბაჟოზე მაინც ჩამომართმევენ, ხარისხის ცნობა საჭირო, ნებადართულობა და ათასი სხვა რამ.

– გემო გაუსინჯონ, რაღა ცნობა უნდა? იშტაიას არავინ უჩივის, – ხუმრობდა თავისებურად ხარისთვალა.

– გინდათ, მექრთამეობა დამწამონ? მერე, სირცხვილით თავი სად გამოვყო?

– მწერალი და ქრთამი? დიდება შენდა, ღმერთო! საიდან სადაო? – შეიცხადეს ზღაპრელებმა. – ჩვენშიც კი მაგას არავინ გაიფიქრებს, ხილულ ქვეყანაში რაღა მოუვიდათ?

აბა, ამათთან რა განსასჯელი იყო ჩვენი სატკივარი და სიტყვა ბანზე ავუგდე.

– ერთი ეს მითხარით, თქვენ ჯვარი ხომ არ დაგიწერიათ? ხარისთვალამ კისერი მიიღ-მოიღო, მარცვალამ კი ჩაიკისკისა, „ჭრელი“ წინდები მოვუქსოვეო.

– საჩუქარი ზღაპარი ჩემზე იყოს!

წამოსვლის დრო დადგა. „ფიქრო“ აფორიაქდა.

საზღაპრეთის კარიბჭესთან ერთხანს გაკვირნდე, ხომ არაფერი მავიწყდება-მეთქი:

გამახსენდა! კალამი მოვიმარჯვე, ქაღალდიც მოვიძიე, მუხას მივაკარ და დიდი ასოებით დავწერე:

ყველას საყურადღებოდ!

პრივატიზაცია კი არა–დასაკუთრება, მიკუთვნება.

საკონტაქტოდ კი არა–მოსალაპარაკებლად.

სიტუაცია კი არა–ვითარება, გარემოება.

იმპორტული კი არა–უცხოური.

შემდგომ გასეირნებამდე!

ბილეთები

ნინიკო ინასარიძე

ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია, როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოს... ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს.

აკაკი წერეთელი.

ქართველი დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ „დედაკაცს“ ეძახის, როგორც მამას – „მამაკაცს“. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას.

ილია ჭავჭავაძე.

ერის მომავალი დედების ხელშია.

ბალზაკი

მოგვეცით უკეთესი დედები და ჩვენც უკეთესი ადამიანები ვიქნებით.

ფან პოლი

გაკურთხოს ღმერთმა, ქართველო ქალო, გაკურთხოს მად, რომ კაცის გმირად შექმნა შეგიძლიან და იცი დაფასება მამულის შვილისა.

ალექსანდრე ყაზბეგი

ლამაზი შვილის
ალმზრდელი
დედ მცენი ღმერთად...

ვაჟა-ფშაველა

მათემატიკური თავსატეხები

მფრინავი ხალიჩის ენციკლოპედიაში

ჩვენი მფრინავი ხალიჩა დღეს დედამიწის ირგვლივ გამოგზაურებთ და სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სფეროში მოღვაწე უდიდეს ქალებს გაგაცნობთ.

თამარ მეფე

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ – ეს აფორიზმი შოთა რუსთაველმა უდიდეს პოლიტიკოს ქალს, საქართველოს უბრწყინვალეს მეფეს თამარს უძღვნა.

„ლეკვი ლომისა სწორია“ – განაცხადა თამარის მამამ, მეფე გიორგი III-მ და თავისი ასული ტახტზე აიყვანა. ძუ ლომის მეფობას ვერ შეეგუენ დიდგვაროვნები და აუჯანყდნენ დედოფალს, მაგრამ თამარმა საშინაო საქმეებიც მოაგვარა და XII საუკუნის მიწურულს საგარეო პოლიტიკაშიც დიდ წარმატებებს მიაღწია: გამარჯვება მოიპოვა შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში, ქართველთა ჯარმა დაიპყრო ქართველი ტომებით დასახლებული ლაზისტანი, შექმნა ტრაპიზონის სამეფო, თამარს მორჩილებდნენ იმიერ კავკასიის მთის ხალხიც. ამ პერიოდში აღორძინდა ეკონომიკა, ვაჭრობა, არქიტექტურა, ხელოვნება, ლიტერატურა. საქართველოს აყვავების ხანა თამარის სახელს უკავშირდება, ასეთი ძლიერი სამეფო ჩვენი ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს. თამარმა მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“

ჟანა დ'არკი

ომი, რომელიც 1337 წელს ინგლისის მიერ საფრანგეთის მიწების დაპყრობით დაიწყო, ას წელიწადს გრძელდებოდა. უკანონობითა და ძარცვა-ყაჩაღობით შეუზებულ ფრანგებს მხოლოდ სასწაულის იმედი ჰქონდათ და... სასწაულიც მოხდა: ფრანგი ხალხის ბრძოლას ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ ახალგაზრდა ქალი – ჟანა დ'არკი ჩაუდგა სათავეში. გლეხის ოჯახში დაბადებულ პატარა, სუსტ გოგონას თურმე ღვთისმშობელი გამოეცხადა და ქვეყნის მხსნელის მისიაც მან დააკისრა.

ჟანამ სამეფო რეზიდენციაში შეაღწია და საფრანგეთის კანონიერი მეფის წინაშე ისეთი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა, რომ წარმოუდგენელი რამ მოხდა: ახალგაზრდა ქალს მცირე, მაგრამ ძლიერი არმია მიანდეს. წარმატებამაც არ დააყოვნა: 1429 წელს ჟანა დ'არკის ჯარმა ქალაქი ორლეანი ინგლისელთა ალყისაგან გაათავისუფლა, რასაც საფრანგეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის კარლ V-ის მეფედ კურთხევა მოჰყვა. ამ გამარჯვებამ ასწლიანი ომის დასრულებასა და შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა.

ორლეანელი ქალწული ჟანა დ'არკი 1430 წელს ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს. ქალს ჯადოქრობაში დასდეს ბრალი და კოცონზე დაწვეს. ფრანგმა ხალხმა ჟანა დ'არკი ეროვნულ გმირად შერაცხა.

მარია კიური

წარსულშიც და თანამედროვეობაშიც ბევრი მეცნიერი ქალია ცნობილი, მაგრამ მსოფლიოს მეცნიერების ასპარეზზე მარია კიურის მსგავსი წარმატებისა და პოპულარობისთვის მათგან არც ერთს არ მიეღწევია.



მარია ვარშავაში, ღარიბი მასწავლებლის ოჯახში დაიბადა. მისი ქალიშვილობის გვარია სლოდოვსკა. გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა, მაგრამ უსახსრობის გამო საკმაოდ გვიან, 24 წლის ასაკში ჩაბარა გამოცდები სორბონის უნივერსიტეტში.

სერიოზული სამეცნიერო მუშაობა ქმრის - პიერ კიურის დახმარებით დაიწყო, და პირველი ნობელის პრემიაც მასთან ერთად მიიღო (რადიუმის სუფთა მარილის დეციგრამის აღმოჩენისათვის, 1902 წ); 1911 წელს მარია, უკვე მარტო (მეუღლე ავტოკატასტროფაში დაეღუპა) მეორედ გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი.

მარია კიური იყო პარიზის უნივერსიტეტის პირველი პროფესორი ქალი; პარიზის სამედიცინო აკადემიის პირველი წევრი ქალთა შორის; მარია კიური დედამიწაზე რადიაციული დასხივებისგან გარდაცვლილი პირველი ადამიანი იყო.

ასტრიდ ლინდგრენი

შვედეთის ქალაქ სტოკჰოლმში, დალაგატანის ქუჩის №46 სახლის შესასვლელთან ასეთი აბრაა: „სახურავის ბინადარი კარლსონი“. ამ სახლის მეორე სართულზე 1941 წლიდან ცხოვრობს უდიდესი მეზღაპრე ქალი ასტრიდ ლინდგრენი. მწერლობის დასაწყისზე ასტრიდი ყოველთვის სიამოვნებით საუბრობს: მისი ცხოვრება სხვა უამრავი ქალის ცხოვრებას ჰგავდა, სანამ ერთხელ ქალიშვილი კარინი ავად არ გაუხდა. გოგონამ რამდენიმე თვე გაატარა ლოგინში და ყოველ საღამოს სთხოვდა დედას, რამე მოეყოლა. ერთხელ, როცა ასტრიდს სათქმელი აღარ დარჩა, კარინმა თავად უკარნახა, პეპის შესახებ მომიყვეო. დედას არ უკითხავს, ვინ იყო პეპი და დაიწყო დაუჯერებელი, სასაცილო ამბების თხრობა, სწორედ ისეთისა, უცნაურ სახელს – პეპის რომ შეეფერებოდა. მონათხრობი მალე კარინისთვის საჩუქრად გამზადებულ ხელნაწერად იქცა, ხელნაწერი – წიგნად, წიგნი კი – მსოფლიოში ყველა ბავშვის საყვარელ ზღაპრად. ამას მოჰყვა: „სახურავის ბინადარი კარლსონი“, „ემილის თავგადასავალი“, „მაწანწალა რასმუსი“ და სხვა.

ასტრიდ ლინდგრენის ზღაპრები სხვა ზღაპრებს არ ჰგავს, იქ მოთხრობილი ამბები გამოგონილ სამყაროში კი არა, თითქოს აქ, ჩვენს შორის ხდება; მისი გმირებიც ან ჩვეულებრივ ქალაქურ სახლებში ცხოვრობენ ან იმ სოფლებში, ზაფხულობით რომ ჩავდივართ. ამბავი კი ისეთი საინტერესო, სასაცილო და კეთილია, რომ პატარები და დიდები ერთნაირი გატაცებით კითხულობენ. ამიტომ უწოდებენ ასტრიდ ლინდგრენს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეზღაპრეს.

დედა ტერეზა

დედა ტერეზას მოღვაწეობა გასული საუკუნის უნიკალური მოვლენაა. ამ ქალბატონის ცხოვრების აზრი მოძმის სიყვარული, მისთვის თავდადება და თავგანწირვა, მასზე ზრუნვა, მისი გაჭირვების და სატკივრის გაზიარება იყო – მოძმეთა დიდი არმია კი ყველაზე ღარიბი, დაუცველი, ავადმყოფი და მიუსაფარი ადამიანებისაგან შედგებოდა.

ავნესა, მომავალში მსოფლიო დედა ტერეზად რომ გაიცნობს, ალბანეთის პატარა ქალაქ სკოპიეში დაიბადა. თვრამეტი წლისამ მიატოვა მშობლების სახლი და ინდოეთში გადავიდა. 20 წელი გეოგრაფიას ასწავლიდა კალკუტის ინსტიტუტში, მერე ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო. 1948 წელს დატოვა სამსახური, ქალაქგარეთ ერთ მიტოვებულ სახლში დასახლდა და ქუჩის მაწანწალა ბავშვებისათვის სკოლა გახსნა. მალე ასეთი სკოლების რიცხვი გაიზარდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, დედა ტერეზა მეტს აპირებდა: კალკუტის ქუჩებში იმ დროს შიმშილობისა და ავადმყოფობისაგან ასობით ადამიანი იღუპებოდა. მათ მიღებაზე ყველა საავადმყოფო უარს ამბობდა. დედა ტერეზამ 1965 წელს გახსნა პირველი სახლი „მომაკვდავი ღარიბებისათვის“. 1979 წელს დედა ტერეზა ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

დედა ტერეზას მოღვაწეობის მასშტაბები ძალიან დიდია. მისი ორდენის მოწყალების დები დღეს ბევრ ქვეყანაში მუშაობენ, მათ შორის ვენესუელაში, ტანზანიაში, ავსტრალიაში, იორდანიაში, პერუში, იემენში, საქართველოშიც... გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მან თბილისიც მოინახულა.

ბიბლიოთეკა

ნინო კაკულია

კოკო შანელი

კოკო შანელი მოდის სამყაროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა, მან დაარღვია მანამდე არსებული ყველა კანონი და ახალი სტილი შექმნა. მისი პირველი ცნობილი კაბა ისეთი უბრალო ნაჭრისგან შეიკერა, რომელსაც მანამდე არავინ იყენებდა. შანელმა მდიდრული და ბრწყინვალე ტანსაცმელი სადა, მოხდენილი, ელეგანტური და ბევრისათვის ხელმისაწვდომი სტილით შეცვალა.

შანელის იდეა იყო ქალის მოდაში მამაკაცური სამოსის გამოყენება. პირველად მან ჩაიცვა მამაკაცის სვიტერი მიღებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ სცეოდა... სვიტერს მოჰყვა ჯაკეტი, პერანგი, ჰალსტუხიც კი. ყველაფერი, რასაც შანელის ხელი შეეხებოდა, ქალურობას იძენდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ლამაზმანები ისეთ კაბებს იცვამდნენ, რომლებიც მოძრაობას უშლიდა ქალს და მდიდრულ თოჯინად აქცევდა. შანელის სტილმა მას თავისუფლება, მოქნილობა, არჩევანის უფლება, გემოვნების გამომჟღავნების საშუალება და დამოუკიდებლობა მიანიჭა.

დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ლამაზმანები კვლავაც შანელის სტილის ანიჭებენ უპირატესობას. თავისუფლები, ლაღები და დამოუკიდებლები შედიან ახალ ათასწლეულში. ვნახოთ, რას ჩაგვაცმევს ეს ახალი საუკუნე!

ნინო ანანიაშვილი

ამ სიფრფოფანა ქართველმა გოგონამ თავისი ნაზტომით მსოფლიოს უდიდესი სცენები დაიპყრო.

ყველაფერი ფიგურული სრიალით დაიწყო. რვა წლისა იყო, როდესაც მისმა პედაგოგმა ქორეოგრაფიაში ალა დვალმა იური ზარეცკისთან ერთად, სპეციალურად მისთვის დადგა სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ნინოს ბედი. დიდმა ვახტანგ ჭაბუკიანმა ორი დადგმა განახორციელა ნიჭიერი მოსწავლისათვის. მერე იყო მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებელი, მოსკოვის დიდი თეატრი, ანანიაშვილისა და ანდრის ლიეპას შესანიშნავი დუეტი, გასტროლები ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნინო ანანიაშვილის არტისტულ მონაცემებზე, პროფესიონალიზმზე, უზადო საცეკვაო ფორმასა და სტილზე ბევრს აღარ რადგან თქვენ, მის თანამედროვეებს ვილაპარაკებთ გაქვთ ბედნიერება საკუთარი თვალით იხილოთ შეუდარებელი ნინო ანანიაშვილი სცენაზე. მართალია, იგი სახლვარგარეთ მოღვაწეობს, მაგრამ ხშირად ახარებს თბილისელებს თავისი საქველმოქმედო კონცერტებით.

შალვა კოკვაძე

გიორგაკვთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა ბლიაძე

დავიბრუნებთ

დავკარგეთო, მგონი, გაგრა, -
დაბოდმილი ამბობს გაგა.
გოგა წუენით აიძაგრა:
- არ დავკარგავთ, გაგა გაგრას!
უეჭველად დავიბრუნებთ
გაგრას - ბაბის ნაამაგარს.

მზია ჩხეტიანი

თუ ხარ კაცი

წამოხტება ბაჯი-ბუჯი,
გადაიგდებს მხარზე ხურჯინს,
სავსეს წაბლით, სავსეს თხილით,
გაუვლება ასე ბილიკს.
რას გააქვსო ჩხარი-ჩხური?
-ჩუი-ჩუი! - ცქვიტა ზღარბმა ეური.
- ვერ შეჭამო, ვიცი, მაგდენს,
მცირედი მეც მიწილდეს!
- რა ჩხრიალებს?
- მგონი, თხილი!
თავვიც მორბის დაოთხილი.
- რა ზემოდან იეურებით,
თქვენც გერგებათ თითო-თითო!
ჩამოცვივდით, ციეკუნებო,
ხიდან კუდის ფრიალითო!
დატრიალდა ბაჯი-ბუჯი,
წამში მოხსნა თავი ხურჯინს
და აქამდე მეოფი ეუჩად
გამოცოცხლდა ოთხი ქუჩა:
ჟოლოს ქუჩა, მაუვლის ქუჩა,
სოკოს ქუჩა, მარწეევის ქუჩა
და ხურჯინიც დაიცალა
ბღუჯა-ბღუჯა, მუჭა- მუჭა!
ესეც ასე! - თუ ხარ კაცი,
არ გაივლი გზაზე ფუჭად.

მხატვარი თამუნა ბატატუნაშვილი

დალი მაზმიშვილი

ინდაური

ამ საქათმეს ვინ ბატრონობს?
დილით ეზოს ვინ დაუვლის?
ეკას ასე ვინ აშინებს -
გაფხორილი ინდაური?
სულერთია, ვინ აუვლის,
სულერთია, ვინ ჩაუვლის,
ჩაახვეელებს, ხმას იბოხებს,
გაფხორილი ინდაური.
მთელი დღეა თავს იბრაზებს,
ტანში ბრძოლის ჟინი უვლის.
ზოგჯერ თავად აფიწედება,
რაზე მოსდის ასე გული.

ჩემი ოჯახი

ვარ ბებიკოს და ბაბუკოს
თვალჩინი და თვალთა
შუქი.
ისე ვცურავ ამ დიდ
ტბაში
ვერ მაჯობებს ბატის ჭუკიც.

კაცი ვარ და მხურავს
ჩაჩი
და გურმანიც დიდი
ვარ მე.
ხელში კოვზით,
ზორბა ჩამჩით
ვემსგავსები ზოგჯერ
ბარმენს.

როცა სუფრაც დიდია და
ამოდ ხმიანებენ ჩანგნიც.
რაინდები „ილიადას“
რომ იწყებენ
დანა-ჩანგლით.

ზოგჯერ ავტოს
მოვახტები,
მიყვარს ავტო, გეტყვით
მართალს,
მაშინ ვგავარ დიდ
ყვარყვარეს-
ჩვენს უჯარო
მთავარსარდალს.

ნუ გგონივართ
მაკვილაკი,
მოქილიკე და მასხარა.
ხშირად საზღვრის
დაცვაც გვიწევს
მე და ჩემს გაწვრთნილ
ბასარას.

ვანო გოგიბერიძე

TOP MODEL

მხატვარი თეა მიქაია

ცხოვრობდნენ მეთოქეები

ლალი აფხაზავა
ინეზა ბართაია

შენ უკვე იცი, რა არის ამოცანა. გახსოვს ისიც, რომ ამოცანა ოთხი ნაწილისაგან შედგება. რა კარგია, რომ უკვე გაგახსენდა ეს ნაწილები: პირობა, კითხვა, ამოხსნა, პასუხი.

გახსოვს? — შენი უფროსი მეგობრები გპირდებოდნენ ამოცანების სამყაროში მოგზაურობას! ალბათ, მას შემდეგ სულ ფიქრობ ამ ჯადოსნურ სამყაროზე.

მოდი, პირველად ჩვენ ვიმოგზაუროთ! აბა, გავწიოთ!

მოგზაურობა პირველი

ჩვენი მფრინავი ხალიჩა ეშვება. აქ ზაფხული ახლახან დამდგარა. მინდვრის ზღაპრული ყვავილები ლორთქო ბალახებში მიმობნეულან. ირგვლივ ცად აზიდულან ვეებერთელა ფოთლოვანი ხეები...

ესენი ვინ არიან, ასე ლაღად რომ თამაშობენ? სიცილ-კისკისით დასდევენ ერთმანეთს... თან, მგონი, რაღაცას აკეთებენ! ალბათ, პეპლებს იჭერენ. არა, ყვავილებს კრეფენ, მინდვრის ყვავილებს. შეხედე, გვირგვინებიც დაუწნავთ. რა ლამაზი გვირგვინებია... გოგონებიც რა ლამაზები არიან! ნანა და თეონა...

სიმღერითა და კისკისით კრეფენ ყვავილებს. თაიგულების შედგენა უნდათ...

ნანამ 7 ლამაზი ყვავილი მოწყვიტა, ერთმანეთზე უკეთესი და სურნელოვანი. მოეწონა, მაგრამ ეცოტავა; კიდევ მოწყვიტა 4 წარმტაცი ყვავილი და თაიგულს მიუმატა. რამდენი ყვავილია ნეტავ ახლა ნანას თაიგულში?

თეონამ 14 ყვავილი მოწყვიტა. თაიგული ხელში ნაზად შეარხია. ზოგიერთი ყვავილი არ მოეწონა და 5 ამოიღო. საინტერესოა, რამდენი ყვავილი დარჩა თეონას თაიგულში?

ამის შემდეგ გოგონები ხტუნვა-ხტუნვით გაჰყვნენ საცალფეხო ბილიკს, ტყის სიღრმეში რომ იკარგება.

ჰო, მართლა! სულ არ შეგვიმჩნევია, ჩვენ ხომ ამოცანები შევადგინეთ. აი, შეხედე!

ამოცანა 1.

ნანამ 7 ყვავილი მოწყვიტა. კიდევ 4 დაუმატა და თაიგული შეადგინა. რამდენი ყვავილია ნანას თაიგულში?

ამოცანა 2.

თეონამ 14 ყვავილი მოწყვიტა და თაიგული შეადგინა, შემდეგ 5 ყვავილი მოაკლო. რამდენი ყვავილი დარჩა თეონას თაიგულში?

დავალება: შენც მოიფიქრე ასეთივე ამოცანები. გამოიყენე შემდეგი სქემები:

ა) იჯდა, მოფრინდა, ზის;

ბ) დარგეს, გახმა, იხარა.

ბავშვთა შემოქმედება

მამა!

ზამთარი იყო. პატარა ანას ყივანახველა შეჰყროდა, ლოგინში იწვა და ეშინოდა. ავადმყოფობისა კი არა, გრძნობდა, რომ მამას საფრთხე ელოდებოდა და ამის ეშინოდა. ღამე ლოგინიდან წამოხტებოდა და ყვიროდა, მამა მოკლესო. ამ დროს ანას მამა ბიჭებთან ერთად თოფით თამაშობდა. ერთმა კაცმა გამოიარა და უთხრა, ეგრე ნუ თამაშობ, იარაღი ეშმაკის მოგონილიაო. მამამ უთხრა, აი, ვისვრი და არ მომკლავს, ტყვია არ დევსო. მიიღო თოფი საფეთქელთან და უცებ – ბაახ! ასე გარდაიცვალა ანას მამა. მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, პატარა ანა სულ სხვაგან იყო, დედიკოს სახლში, მაგრამ თითქოს იგრძნო, ლოგინიდან წამოხტა: მამა! მამა! ნუ მოკვდები! ნუ დამტოვებ!

ანა ტიროდა, არავის ესმოდა, რატომ. მამის ამბავი უფროსებმა ტელეფონით გაიგეს.

ეს ამბავი ნამდვილად მოხდა.

ამას მე ვწერ, 10 წლის **ANA კეკელია**
55-ე სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

შემოდგომა

წელიწადის ერთი დროა,
ერთად მოაქვს ორი გრძნობა.
ყველას თავისას აკუთვნებს
სიხარულს და გულისწყრომას.

სიხარული მისთვის, ვისაც
უყვარს შრომა, გარჯა უყვარს,
ხვავი კაცს არ დაელევა
მინდობილა ვინაც უფალს.

მისთვის როგორ დაიშურებს
ბარაქას და ხვავს და დოვლათს
ვინაც ყანას დასტრიალებს
ვინაც იცის ვაზის მოვლა.

გულისწყრომას მას მიაგებს
ვისაც შრომა აღარ უყვარს.
დაუმჭლევებს შემოდგომას
და გაუჩენს ზღვა საწუხარს.

თამარ ადამია
საქართველოს საათტრიარქოსთან
არსებული წმ. ილია მართლის
სახელობის გიმნაზიის V კლასის მოსწავლე

მარიამ
სიხარულიძე
თბილისის 165-ე
საშ. სკოლის
VIII კლასის მოსწავლე

ღამე

ჩამოწვა ნისლი,
გადაფარა ზეცის კამარა,
ღამე წამოწვა ფანჯარასთან,
ფეხი გაშალა,
ჩამოიშალა გრძელი თმები,
მხრებზე დაყარა,
შავი თვალებით გაანათა,
მიწა დაფარა,
მკერდზე მიიკრა ვარსკვლავები,
მთვარე ნამგალა,
მთების თავებზე შემოავლო
სხივი შავთვალა.

თამარ
კუპატაძე
სკოლა „ლაშარი“
III კლასის მოსწავლე

* * *

ვადიდოთ ღმერთი –
უფალი, ქრისტე...
ვისაც სწამს ღმერთი
ის დაცულია,
ვინც სანთლებს ანთებს
ლოცულობს კიდეც
და იგი მუდამ
სიწმინდეს ხედავს.
არის კეთილი და განმკითხავი
კანდელთან სხვებზე
ლოცულობს ჩუმად.
ყოველთვის, ყველგან
არსებობს ღმერთი,
ღმერთი, რომელმაც
სამყარო შექმნა.

თეთრი ოცნება!

თუ თეთრ ოცნებას
შავი ღრუბელი
დაფარავს,
თუკი ოცნება ბნელ
ილუზიად იქცევა,
მაშინ ლამაზი სიცოცხლეც
სიბნელედ გადაიქცევა.

თამთა
ქინქლაძე

ინტერაქტიული

დაფაზე განლაგებული 6 სიმბოლო სხვადასხვა სფეროს აღნიშნავს. დანარჩენ ოთხსაც თავისი დატვირთვა აქვს: – აირჩიე სექტორი, – ზარი რედაქციაში, – ნაწუქარი 20 ქულა, – სვლის გადასვლა.

ერთდროულად გააგორე ორივე კუბური. ვთქვათ, დაჯდა 3 და 5. მათს გადაკვეთაზე პოულობთ სიმბოლოს – ეს ნიშნავს, რომ კითხვა, რომელსაც უნდა უპასუხოთ ხელოვნების სფეროდანაა და 15 ქულას იგებს. იმ შემთხვევაში, თუ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემთ, გაკვლევთ 5 ქულა და თამაშს შემდეგი მოთამაშე აგრძელებს. ვთამაშობთ სექტორების ამოწურვამდე. თამაში შეიძლება ორ და მეტ ბავშვთან.



კითხვები

ისტორია

1. საქართველოს პირველი მეფე. 5 ქ.
2. რუსეთის მეფის კარზე მოღვაწე ქართველი მზედარმოავარი. 10 ქ.
3. სად დაიბადა ნაპოლეონი? 15 ქ.
4. რა არის გილიოტინა? 20 ქ.
5. ვინ აღმოაჩინა ამერიკა? 25 ქ.

ლიტერატურა

1. რა პროფესიის იყო „პატარა უფლისწულის“. ავტორი. 5 ქ.
2. ყველაზე ცნობილი ინგლისელი გადია. 10 ქ.
3. ბურატინო იტალიურად. 15 ქ.
4. ცნობილი შვედი მეზღაპრე ქალი. 20 ქ.
5. ცნობილი ქართველი მოღვაწე, რომელიც ერთდროულად იყო მწერალიც, საეკლესიო პირიც და დიპლომატიც. 25 ქ.

გეოგრაფია

1. ყველაზე გრძელი მდინარე მსოფლიოში. 5 ქ.
2. ყველაზე დიდი ტბა საქართველოში. 10 ქ.
3. ევერესტის მეორე სახელი. 15 ქ.
4. რომელი ქვეყნის სახელი ჰქვია ერთ-ერთ ოკეანეს? 20 ქ.
5. სად ჩაედინება მტკვარი? 25 ქ.

ხელოვნება

1. რა ჰქვია თიხის ნაკეთობას? 5 ქ.
2. რა სახელით არის ცნობილი ლეონარდო და ვინჩის მონა-ლიზა. 10 ქ.
3. შთაგონების სიმბოლო ხელოვნებაში? 15 ქ.
4. რა არის ანიმაცია? 20 ქ.
5. რა ჰქვია შენობას, სადაც ინახება ხელოვნების ნიმუშები? 25 ქ.

მუსიკა

1. რომელი ინსტრუმენტის სახელი ჰქ-ვია მუსიკალურ გასაღებს. 5 ქ.
2. ვისი სახელობისაა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. 10 ქ.
3. რას ნიშნავს „ბითლზი“? 15 ქ.
4. ვალსების მეფე. 20 ქ.
5. პიანინოს წინაპარი. 25 ქ.

ბუნება

1. ზეზე მცხოვრები ჩანთოსანი ცხოველი. 5 ქ.
2. სტიქიური მოვლენა, რომელიც აჩენს ცეცხლს. 10 ქ.
3. ყველაზე დიდი მახრჩობელა გველი 15 ქ.
4. უდაბნოს ტრანსპორტი. 20 ქ.
5. რომელმა ფრინველმა აღმოაჩენინა თბილისი ვახტანგ გორგასალს? 25 ქ.

ეაკეთე ძენი ხელით

იმ მშვენიერი კოლაჟისთვის, რომლის დამზადებასაც დღეს გასწავლი, გამოუსადეგარი ფანქრები დაგჭირდება.

გაჭერი ფანქრები ჰორიზონტალურად. ფრთხილად, ხელი არ გაიჭრა. იქნებ უფროსებიც დაიხმარო. გაჭრილი ფანქრები სახლის ასაშენებლად გამოიყენე, სახლს ლამაზი ნათალით სახურავი დაახურე, მზე და მინდორი შესაფერისი ფერის ფანქრის გულების ფხვნილით დაამზადე, პატარა მძივებით მზეს თვალებსაც მიამაგრებ და მინდორზე ყვავილებსაც ამოიყვან. მზის სხივებად ასანთის ღერები გამოიყენე. შეგიძლია შენი ფანტაზიით კოლაჟს სხვა დეტალებიც მიამატო.

თინიკო გორელიშვილი

«მზის სხივები»

კომპოზიტორი: მაიკო ელოშვილი

ლექსი: მზია ჩხეტიანის



2. მეც მეწვევნენ,
მომახარეს
ახალი დღის მოსვლა
ზოგი თმებზე მომეფერ,
ზოგმა გადამკოცნა.

ამხტუნეს ათინათი,
გამოტყუეს გარეთ.
ნიავს უხმეს, ყვავილებ
მტკვერი მომაყარეს.

პეპლები და ჩიტუნები
ამფრინეს ჯარად.
მეთამაშნენ, ვიდრე
მზე მთებს
არ ამოეფარა.

მერი ბოლქვაძე

ბაკუნები

ტყეში დადის ბაკი-ბუკით
თხა თავისი ბაკუნებით,
სიო უკან დასდევს ხვეწნით:
- სახლში თუ არ დაბრუნდები,
სტუმრად დღესაც თუ აქ რჩები,
გაიხადე ბაკუნები,
ბაკუნები-კაკუნები,
აჭა, ჩემი ფაჩუჩები.

ლია კობალაძე

საქანელა

სკუპ და, მარჯვედ შემოსკუპდა,
დაითრია ტოტი ხმელი,
ახორხოცდა, ამუნძულდა,
აბურტყუნდა დათვის ბელი.
ჭრაჭ-ჭრუჭ, ტოტი აჭრაჭუნდა,
ტკაცდა... ბელი ტოტიანად
თავდაყირა, როგორც
გუდა,
უცებ ამოკოტრიალდა!
გაიშლართა, აღრიალდა,
ამოვეკლო ლაფში
დრუნჩა,
ქურქი ქურქად დახია და
ვეღარც სირცხვილს
გადაურჩა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე კეკელიშვილი

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

მხედრული

– შენ რა გქვია? – ვითომ არ ვიცოდი, ისე, საალერსოდ შევეკითხე ჩემს ნათესავ ბიჭუნას.

– ოთუნა. – მგონი, ცოტა გაოცებულმა მიპასუხა.

– შენ ის ოთუნა არა ხარ, ზაფხულში წისაფრის ჯიბეში კუნწულ-კუნწულა ბალი რომ ჩაგიყარე, მერე სკამზე წამოგასკუპე და გითხარი, ჭამე, ოღონდ კურკები არ გადაყლაპო, თორემ მუცელი გეტკინება-მეთქი? – მუცელზე შევუღუტუნე ოთუნას.

– დიახ! – ახლაც გამომიწოდა კურკებით სავსე მუჭა ოთუნამ.

– ეგ რაღაა! – დავაცქერდი, ვითომ ვერ მივხვდი, რაც იყო.

– ეს კურკებია და სად გადავყარო? – შემეკითხა ძალიან სერიოზულად.

– აი, ახლა კი დავრწმუნდი, შენგან კარგი კაცი დადგება.

– კაცი? სულ ბიჭო, ბიჭოო, რომ მეძახიან?! – შუბლი შეიკრა ოთუნამ.

– ბიჭობიდან იწყება კაცობა. თუ კარგი ბიჭი ხარ, კარგი კაციც დადგება შენგან.

– თქვენ საიდან იცით? – ეჭვის თვალით ამომხედა ოთუნამ.

– გამოცდილებიდან ვიცი... კარგი კაცი ეზოს, ქუჩას, ბაღს და სახლს არ დაანაგვიანებს, დაენანება. თუ რამე გენანება, აუცილებლად შებრალებაც გეცოდინება.

– ვინ უნდა შემებრალოს? – ჩამეკითხა ოთუნა.

– ადამიანი, ფრინველი, ცხოველი, ხე, ვაზი. შენი დედ-მამა, ბაბუა და დიდედა, და-ძმა, მეზობელი, ნათესავი, მეგობარი. ხომ გიყვარს ყველა?

– უუ, რამდენია?!

– როგორ გეკადრება. მთელი ქვეყანა უნდა დაიტიოს შენმა გულმა. აი, მაშინ იქნები კაცი.

– ამდენი კაცი ჩამეტევა? ვაიმეე, მერე რა ვქნა! – ხელი დაიტყაპუნა გულზე.

– რაც უფრო მეტ ადამიანს დასჭირდები და რაც უფრო მეტის შველას შეძლებ, მით უფრო ბედნიერი იქნები. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, გაგიგონია?

– მართლა არ მიყვარს მარტო ჭამა, – დაფიქრდა ოთუნა.

– ვისთან ერთად უფრო გიყვარს ჭამა?

– ყველასთან. საბავშვო ბაღის ამხანაგებთან, მთელი ოჯახი რომ ერთად ვსადილობთ... სტუმარი რომ გვყავს, ისიც მიყვარს. სხვების ლაპარაკში ადვილად იყლაპება ლუკმა. რა ვქნა, ვაი, თუ ლუკმა ყელში არ გადადის? არც თამაში მიყვარს მარტო.

– ყველაზე ძალიან მაინც ვინ გიყვარს?

– ვინ? დაფიქრდა ოთუნა, ცალი ფეხი მობრიცა, ლანჩა გააცურ-გამოაცურა და იატაკს ჩააცქერდა. მერე მხრები აიჩეჩა, ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა. – ყველა... – მკლავები ისე

მხატვარი ლუიზა ჭიკაძე

ნიკუშა კვილი შვილი

შეკრა გულთან, თითქოს მთელი ახლობლები ჩაიკრა.

– მაინც, მაინც? ნუ დამიმალავ. აბა, დაფიქრდი, ყველაზე მეტად ვინ გიყვარს. მიგზდი, დაფიქრება არც სჭირდებოდა, მაგრამ რაღაცისა ერიდებოდა.

– თქვენ? – მოულოდნელად დამიბრუნა შეკითხვა.

– შენოდენა რომ ვიყავი, ყველაზე მეტად ჩემი ძმა მიყვარდა, – არ დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე.

– ახლა სად არის ის თქვენი ძმა? – ოთუნა ყველა ჩემს ახლობელს იცნობდა და ისე ჩაფიქრდა, მივზვდი, რატომ უკვირდა, რომ ერთხელაც არ ენახა ის ჩემი საყვარელი ძმა.

– მერე ჩემი ძმა გაიზარდა. ძალიან ჭკვიანი იყო და ღმერთმა წაიყვანა, – დანანებით ვთქვი, – ახლა ცაშია, მე ოცნებაში ვესაუბრები.

– მეც ჩემი ძმა მიყვარს ყველაზე ძალიან, მაგრამ ცაში არ გავუშვებ! – შეშინებული თვალებით შემომაჩერდა, თითქოს გაიბუტა კიდეც.

– ღმერთმა დაიფაროს, რა დროს შენი ძმის ცაში წასვლაა, – გავუცინე, – ჯერ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი ჩვენი ქვეყნისათვის, მერე უნდა დაბერდეს და როგორც ყველა, წავიდეს უფალთან.

– ჩემი ძმა, მიხო, აზმანაია, – ახლა ამაყად ალაპარაკდა ოთუნა.

– აზმანაკი კი არა, ამხანაგია, მაგრამ მიხო ხომ შენი ძმაა, – გავუცინე.

– დიახ, ძმაა, მაგრამ აზმ... ამხანაგიცაა. – გამოასწორა სიტყვა.

– რა კარგი კაცი ხარ, ოთუნა, სიყვარულიც იცი. მეგობრებიც ხომ გყავს?

– დიახ, ბევრი. – ოთუნამ ოცამდე ბავშვის სახელი მითხრა, ბოლოს შემოელია და სული მოითქვა.

– ბაღში მღერით?

– დიახ, ძალიან ბევრს.

– რომელ ამხანაგთანაც მღერი, ხომ ვერ აწყენინებ? ხომ ვერ ატკენ რამეს? არც სათამაშოს წაართმევ. სიმღერის დროს, ხომ ძალიან გიყვართ ერთმანეთი, არა? – ჩავეკითხე ჩაფიქრებულ ოთუნას.

– ერთმა ახალმა ბიჭმა თამაშის დროს სარმის გამოდება იცოდა. რამდენიმე ისე წააქცია, სისხლი ადინა ცხვირიდან.

– უჰ, რას ამბობ! ოთუნამ შემატყო აღშფოთება და დაღონდა:

– კარგი კაცი არ გაიზრდება? – შიში ჩაუდგა თვალებში.

– ვნახოთ... ალბათ გადაეჩვევა ამ ცუდ საქციელს.

– დიახ. არაფერიც არ ვუთხარით, საერთოდ არ ველაპარაკებოდით. სალამს არ ვაძლევდით.

– ვინ გასწავლათ, ასე მოიქცეთო?

– ჩვენ თვითონ. – გულზე დაირტყა ხელი ოთუნამ. – ახლა ისიც კარგი ბიჭია. ხომ გაიზრდება კარგი კაცი? მე და ის წყვილები ვართ მხედრულში.

– რასაკვირველია, კარგი კაცი გაიზრდება, მაგრამ რომელ მხედრულში? – დავფიქრდი. უეცრად ბლის კურკები ოთუნამ თავისი თბილი მუჭიდან მე გადმომიყარა ხელში, ცალი ფეხი წინ წადგა, ცალი მკლავი იდაყვში მოხარა და მკერდზე მიიჭირა.

– ამ ხელში ფარი მიჭირავს! – თვალების ბრიალით ამიხსნა... – მეორე ხელში – ვითომ მახვილი აღმართა და ვაჟკაცური შეძახილებით დაიწყო ილეთები. თან ხტუნავდა, ვითომ ხმლით მტერს იგერიებდა. ფარს ფარზე უჯახუნებდა მოწინააღმდეგეს. მახვილს ისე ლეწავდა მახვილზე, ხმაც კი ჩამესმა. დროდადრო შესძახებდა, საცეკვაოს ღიღინებდა, ცალ ფეხს მძლავრად ურტყამდა იატაკს. მერე უფრო ხმამაღლა ჩაიღიღინა, პატარა მკერდი რემკენ გამობურცა, ვითომ ჩაფხუტი მოიმირო, მკლავები გაშალა, შეძახილით – ეჰეი! – ჩაიმუხლა. თან შემომაცქერდა. მე ტაში დავუკარი, წამოვაყენე, გულში ჩავიკარი, დიდი მადლობა გადავუხადე.

– შენ რომ იცოდე, ჩემო ოთუნა, რამდენი წელია, მხედრულს ცეკვავენ შენი ბაღის აღსაზრდელები.

– წინათაც ცეკვავდნენ? – თვალებში ჩამბნედა ბიჭუნამ.

– აბა რა! საქართველოს ერთი ძალიან ჭკვიანი, პატრიოტი, დიდი მეცნიერი ჰყავდა. სულ იმაზე ფიქრობდა, ჩვენს ქვეყანას თავისი ისტორია არ დაჰკარგვოდა და ყველა ქართველს კარგად სცოდნოდა წინაპრების გმირული და სახელოვანი წარსული. ამიტომ ბევრი დიდი წიგნი დაწერა და „ქართველი ერის ისტორია“ დაარქვა. ეს კაცი ივანე ჯავახიშვილი ბრძანდებოდა. კარგი ცოლშვილი ჰყავდა. ორი ვაჟი და ერთი ქალი. ქალს ნათელა ერქვა და ძალიან ახალგაზრდა, თქვენს ბაღში მასწავლებლად მუშაობდა.

ერთხელ, ეს ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა, ბაღი სადღესასწაულოდ ემზადებოდა. უნდოდათ ბაღში ეროვნული ცეკვა დაედგათ. ქალბატონმა ნათელამ მამას შესჩივლა გასაჭირი. ბატონ ივანეს ბევრი არ უფიქრია, აიღო სუფთა ქაღალდი და გოგო-ბიჭებისთვის ხევსურული ტანსაცმელი დახატა. იქვე ფარ-ხმალიც მიახატა. საცეკვაო ილეთებიც ჩამოწერა, შვილს საცეკვაო მუსიკა უკარნახა ნოტებზე გადასაწერად და ასე შეიქმნა თქვენი „მხედრული“. მაშ, ჩემო ოთუნა, თუ კაცმა ტვინი და ხელი არ გაანძრია, ისე ცარიელ ადგილზე არაფერი არ ჩნდება. რა გვარია ის მეცნიერი, ვინც თქვენთვის „მხედრული“ მოიგონა?

– მმ. – ტუჩებზე ხელი მიიდო ოთუნამ და თვალები დაატრიალა გვარის გასახსენებლად.

– ივა-ნე ჯა-ვა-ხი-შვილი! – დავუმარცვლე, – დაიმახსოვრე?

– ჰო, ჰო! – შეკუნტრუშდა ოთუნა და მხედრულის ღიღინით ისევ დაიწყო ცეკვა.

ყინულის

ლუკა
მეგრელიშვილი

დღეს სულ უფრო იშვიათად გაიგონებთ ბავშვის თხოვნას: „დედა, ზღაპარი მომიყევი...!“ იმიტომ კი არა, რომ ბავშვს აღარ სჭირდება, არა, მას ზღაპარზე უარის თქმა დიდებმა დაასწრეს.

რეალური ცხოვრებისგან განსხვავებით, ჯადოსნურ ზღაპრებში მოუგვარებელი და გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს. გმირი წარმოუდგენელი, დაუჯერებელი ხერხებით აუცილებლად ყველა დაბრკოლებას გადალახავს და საბოლოოდ მაინც გამარჯვებული რჩება „ჭირი იქა, ლხინი აქა...“

თუმცა, მსგავსებაც არის: რეალურ ცხოვრებაში, ისევე, როგორც ზღაპარში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გგხვდებიან ავაზაკები, კუდიანები, მაქციები, ყაჩაღები. აი, კეთილი ფერიები და მშვენიერი პრინცები კი, მგონი, სულ გადაშენდნენ. თანამედროვე კონკისასაც ბოროტი დედინაცვლის სამსახურის მეტი აღარაფერი დარჩენია. სწორედ ამიტომ, დიდებს ზღაპრების აღარ სჯერათ: რა ზღაპრებს მიყვებიო — დატუქსავენ მოსაუბრეს, რომლის ნაამბობსაც გამოგონილისა და ნაოცნებარის ელფერი დაჰკრავს. ჩვენ ხომ გონიერი ადამიანები ვართ, ყოველთვის ვიცით, რა ხდება, როგორ და რატომ. ასე ვზრდით შვილებსაც — ნამდვილ რეალისტებად. მომავალში მათ პრობლემებს ჯადოსნური ჯოხით არავინ გადაუჭრის. მაშ, რა საჭიროა ბავშვისთვის ზღაპარი — მფრინავი ხალიჩის მსგავსი უსარგებლო გამოგონებებით თავის გამოტენას ილუსტრირებული ენციკლოპედიების კითხვა და დღეში ათიოდე ინგლისური სიტყვის დაზეპირება არ სჯობია?! არა, ისე, მთლად ფანტაზიის გარეშეც არ შეიძლება, გართობაც საჭიროა. ამ საქმეში ჩვენი მშველელი ტელევიზორია, რომლის ეკრანზე სამართლიანობისთვის იბრძვიან ადამიანი-ობობა, ჩიპი და დელი, ტომი და ჯერი. რით არის ძველ, ბებიების დროინდელ ზღაპრებზე ნაკლები, ბოლოს და ბოლოს, მესამე ათასწლეულში შევედით!..

იქნებ ზედმეტი ირონიით დავინყეთ, მაგრამ, აბა, დაფიქრდით, ასეთი შეხედულება ხომ უკვე დამკვიდრდა, შშობლების უმეტესობა ხომ მართლაც ასე ფიქრობს.

არ უარვყოფთ, რომ დღევანდელი ბავშვები სხვა პირობებში ცხოვრობენ. ტექნიკის ისეთ მიღწევებთან უხდებათ ურთიერთობა, ჩვენ რომ ფანტასტიკურ ლიტერატურაში ვკითხულობდით. ისინი სხვაგვარად აზროვნებენ, სხვაგვარად აღიქვამენ სამყაროს იმიტომ, რომ თავად სამყაროც შეიცვალა. დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ არ შეცვლილა ადამიანური ღირებულებები, არ შეცვლილა ზნეობრივი და ეთიკური ნორმები, რომლებიც ადამიანს ადამიანობას უნარჩუნებენ და რომლებსაც უფროსები საუკუნეთა მანძილზე შვილებს ზღაპრებისა და ლეგენდების მეშვეობით გადასცემდნენ. ეს საოცარი და საინტერესო ამბები ბავშვებს სიყვარულს, ერთგულებას, თავდადებას ასწავლიდნენ, საგმირო საქმეების ჩადენისა და ბოროტის დამარცხების სურვილს უღვივებდნენ, სიკეთისა და სილამაზის დაფასებას აჩვევდნენ...

დღეს ბავშვებს სულ სხვა პირობებს ვთავაზობთ. დედას, როგორც წესი, არ სცალია. თანამედროვე ბებიაც ისეთი ახალგაზრდაა, რომ შვილიშვილთან „ზღაპრობანას“ თამაშით დროის მოკვლას აქტიური ცხოვრება ურჩევნია. უფროსები კმაყოფილები არიან, როცა ბავშვი „ლეგოს“ კონსტრუქტორით ერთობა ან, ტელევიზორის ეკრანს მიშტერებული, ხელს არავის უშლის. მერე კი გაიოცებენ, რატომ უძნელდება მას აზრის გადმოცემა, რატომ ვერ წერს თავისუფალ თემას, რატომ უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, რატომ არის აგრესიული და კონფლიქტურიო.

ბავშვი ფიქრს, აზროვნებას და ოცნებას სულ პატარაობიდან უნდა მიეჩვიოს. თავდაპირველად ის კონკრეტული, თვალსაჩინო გამოსახულებებით აზროვნებს, მერე კი, თანდათანობით ითვისებს განყენებულ ცნებებს. ამ პროცესში უნდა ჩაერიოს შშობე-

დედოფალი

გიორგი ტომარაძე

ლი და ფიქრისა და აზროვნებისკენ უბიძგოს შვილს, მიაწოდოს ისეთი „მასალა“, რაც წარმოსახვის უნარს განუვითარებს პატარას.

მოყოლილი და წაკითხული ზღაპარი ინტელექტუალური და ზნეობრივი თვალსაზრისით ასწ�ღირებულია, ვიდრე იგივე — ტელე-ეკრანზე ნანახი. თხრობა მზა სახეების ნაცვლად ბავშვს ფიქრის, აზროვნებისა და წარმოსახვის საშუალებას აძლევს, არც ამა თუ იმ გმირის მიმართ ემოციურ დამოკიდებულებას ახვევს თავს, ეს დამოკიდებულება, დადებითი თუ უარყოფითი, სიუჟეტის მიხედვით წარმოიშობა. ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო. ზღაპარს თუ ვიგულისხმებთ, ეს აფორიზმი პირუკუ მოიაზრება. ნანახი ბავშვის გონებაში მხოლოდ მოგონებად რჩება, მოსმენილი სიუჟეტი კი ფიქრისა და გრძნობების გააქტიურებას იწვევს.

მაგრამ რა ვქნათ, — იკითხავენ დედები, — თუკი ბავშვები არ ისმენენ ჰეპის თავგადასავალს, მაგრამ სიამოვნებით უყურებენ მულტიპლიკაციურ ფილმს ამ გმირის მონაწილეობითო?!

უწინ ბავშვს ასეთი არჩევანი არ ჰქონდა და სიამოვნებით იღებდა ერთადერთ ხელმისაწვდომ ვარიანტს: ისმენდა ან თავად კითხულობდა ზღაპარს. ახლა კი ცხადია, პატარა ირჩევს უფრო მკაფიო, ნაირფერ და დინამიკურ ვარიანტს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წიგნი აღარ სჭირდება. თუ ასე ვიმსჯელეთ, ბავშვი უპირატესობას შოკოლადსა და ლიმონათს ანიჭებს და თავისი ნებით არასოდეს მოითხოვს წვნიანსა და ბოსტნეულს. აბა, დედებს ჰკითხეთ! მათ არ ეზარებათ ბავშვის ჯანმრთელობისთვის საჭირო კერძების მომზადება, ოჯახურ „კონცერტსაც“ გამართავენ და სულ ძალისძალად გადააყლაპებენ შოკოლადის მოყვარულ პატარას საძულველ კერძს.

მაგრამ როცა საქმე ინტელექტუალურ და ზნეობრივ „რაციონს“ ეხება, იგივე მკაცრი დედები უძლურნი ხდებიან.

თხრობა კიდევ იმითაც არის კარგი და სასარგებლო, რომ ამ დროს ბავშვი ყველაზე ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის სურვილს იკმაყოფილებს, მათს ზრუნვასა და სიყვარულს გრძნობს. ...ირონიულად იღიმება ყინულის დედოფალი. მისი სარკის ნამსხვრევები მთელ ქვეყანაში მომოიფანტა და ჩვენს პატარებს აიძულებს, ამ ნატეხებით ითამაშონ. ზღაპარი კი გვასწავლის, რომ ყინულის გაღღობა მხოლოდ ჩვენი სულების სითბოს შეუძლია. მაშ, გიხსენეთ ის კეთილი ზღაპრები, თქვენს ბავშვობას რომ ალამაზებდნენ და მოუყევით შვილებს.

თამარ
ნინიკაშვილი

ვერნისაჟი

მარიამ
თუთბერიძე
სოფ. წინუბნის საშ. სკოლის
I კლასის მოსწავლე

მარიამ
ნანეიშვილი
3 წლის

წერილი რედაქციას

ბავშვებისგან

თენგიზ ხრუსტალი

ჟურნალ „დილის“ რედაქციას!

მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ. თქვენ ახალისებთ ბავშვებს ჟურნალ „დილით“. ცხრა ანგელოზი გფარავდეთ.

გურამ დოლიაშვილი

მე ძალიან მომწონს თქვენი ჟურნალი „დილა“. ყოველთვის ვკითხულობ იქ დაბეჭდილ მოთხრობებს და ლექსებს.

ძალიან მინდა „დილა“ ყოველთვის ასეთი ლამაზი იყოს და მუდამ იბეჭდებოდეს.

რეზო გოგრიჭიანი

გამარჯობა ჩემო საყვარელო „დილა“

„დილის“ ბოლო ნომერმა კიდევ ერთი საინტერესო საფიქრალი გაგვიჩინა: — „ინტერვიუ“! ხუთი კითხვა და თანაც ისეთ პიროვნებასთან, ყველას რომ დააინტერესებსო...

ასტრიდ ლინდგრენისათვის მინდოდა შეკითხვების გაგზავნა, მაგრამ სანამ ჩემი წერილი შვედეთამდე მიაღწევს...

ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე კითხვებით მივმართო ჩვენი ბებიებისთვის და პაპებისთვის, ჩვენი დედებისთვის და მამებისთვის, ჩვენთვის, ბავშვებისთვის და კიდევ რომ გაჩნდებიან იმ ბავშვებისთვისაც უუუსაყვარლეს პოეტს - ქალბატონ ანა კალანდაძეს:

1. ქალბატონო ანა! თქვენ ლექსებს დიდებისთვის წერთ, მაგრამ მერწმუნეთ, თქვენი პოეზია ძალიან, ძალიან ბევრმა ქართველმა ბავშვმა იცის ზეპირად.

რომელია თქვენი პირველი ლექსი? მაინტერესებს, როგორ წერთ? ერთხელ მე ვიწვალე, ვიწვალე და არაფერი გამომივიდა...

2. როგორი ბავშვი იყავით, დამჯერი თუ ცელქი? რითი ერთობოდით? გიყვარდათ ნაყინი და შოკოლადები? გთხოვთ, მოგვიყვეთ რაიმე საინტერესო, სასაცილო ამბავი, რომელიც თავს გადაგხდომიათ.

3. სკოლაში როგორ სწავლობდით? გიყვარდათ სკოლა? რომელი საგნები გიყვარდათ? რომელი არა? რატომ? საერთოდ, გვიამბეთ სკოლის წლების შესახებ.

4. მოგწონთ დღევანდელი სკოლა? პატარა რომ იყოთ, როგორ სკოლაში ისურვებდით სწავლას?

5. რას უსურვებდით ბავშვებს?

მე გისურვებთ დიდხანს, ჯანმრთელ სიცოცხლეს და ბეევრ-ბეევრ ლამაზ ლექსებს.

დიიიდი სიყვარულით ნათია დუნდუა

გმადლობთ!

დეიდა დოდო!

გამარჯობა დეიდა დოდო. მე მინდა კიდევ ბევრ ხანს იცოცხლო. მე ძალიან მიყვარხარ. მინდა ჯანმრთელი იყო და გულკეთილი. ჯანმრთელი და გულკეთილიც ხარ მინდა გნახო, მაგრამ შენი სახლი არ ვიცი. მინდა გაჩუქო სიცოცხლე.

ეკა ბაცია აბ ვიცი, ჰოლიში.

შალვა ჯავახიშვილი

თქვენ ძალიან კარგ ჟურნალებს უშვებთ. მე თქვენს ყველა ჟურნალს ვყიდულობ და მომწონს.

ლანა ანთია

დეიდა დოდო!

დეიდა დოდო, თქვენ ძალიან კეთილი ქალბატონი ბრძანდებით, მე თქვენ არ მინახიხართ, მაგრამ ძალიან მიყვარხართ. მე თქვენ გჩუქნით მთელ სამყაროს იმიტომ, რომ ძალიან კეთილი ქალბატონი ბრძანდებით.

ლენა შაბანოვა

„დილას“!

მე დიდი მადლობა უნდა გადაგიხადოთ, იმიტომ რომ გორში ჩამობრძანდით ჩვენთვის. მე მინდა ბევრი ფული გაჩუქოთ, რომ „დილას“ სახლი აუშენოთ. მე მინდა თქვენი მეზობელი ვიყო.

თათია ოდიშვილი

წპაკითხეთ დიდებს

ნინო ჟუთათელაძე

დედას

შენს სიცოცხლეზე ჩამოვდე თავი,
მას შემდეგ მუდამ მმინავს,
მაშინ ჩამესმის შენი ძახილი,
როცა ძალიან გტკივა.
...და მე ვარ ისევ ჩუმი და წუნარი,
ისევ ნანასავით მესმის,
რომ მე მარტო ვარ ამ ქვეყანაზე,
რომ მე ვარ ერთადერთი.
შენამდე მხოლოდ სიმღერა მახსოვს,
წვიმები მახსოვს თეთრი,
ნაირ-ნაირი ფერის ვედები,
ერთი ცისფერი ვედი...
შენს სიცოცხლეზე ჩამოვდე თავი
და არა მახსოვს მეტი.

წვიმების მდელო

ვეღარ გიკოცნი
ვერცხლის თავთავებს,
ვერ გიამდები
ჩუმი ტკივილი,
ვერც ვიმაისე,
ვერც ვიავდარე,
ისე წავედი,
როგორც გიხილე!
წვიმის ბალახზე
ჩემი ფიქრია,
წვიმა არა ჩანს,
არსად არ არის,
შენი წვიმები
ისევ მიქრიან,
სველდება შენი
ვერცხლის თავთავი,
წვიმის კოშკები
ააგო ზეცამ,
წვიმის კოშკებში
წვიმა ხმაურობს...
და ყველა სურვილს
ნელ-ნელა ვკეცავ,
რომ შენს წვიმაში
ვიმოგზაურო.
სადახარ, ჩემო წვიმების მდელო,
უკვე არ მახსოვს, როდის გიხილე,
წვიმა მოდის და სველდება ყველა,
მე კი სიზმრების მაწვიმს სიმძიმე.

პოეზიას

წვიმის გუბეში გდია ბავშვობა,
ცრიატი მთვარე ირეკლავს ღამეს -
ვით მიურეებულ ტეეში გალობით
სირინოზები მოვლენ და წავლენ,
ისე ვაქრება ჩემი ზმანება,
ისე ვაქრება ეოველი სადღაც
და უსინათლო სულის მნათობად
წარსულის ფერფლი შემრჩება მარტო.
მე არაფერი არ მემეელება,
რაც გამიწირავს, გაყწირავ კვლავაც;
ვით ჩუქურთმაში ლურჯი მტევნები,
ჩემს აზრებს სიტეეა ედება ჯავლად.
მე აწსად წავალ,
არ მინდა წასვლა,
მე შენთან მინდა მხოლოდ და მხოლოდ,
გაცისკრეფული მე შენნი ვდგავარ,
ხხვა ეველაფერი ნაღვლობს და გლოვობს.

საქართველოს

როცა ეველაფერს
დავწერ და ვიტეეი,
როცა სათქმელი აღარ დამრჩება,
როცა დავსურავ სუფეელა კარებს
და არ ვიენები
მეტი აქმეეენად,
ალბათ ვიქცეეი
იმ ცისფერ ტაძრად,
სადაც ირბენენ
თეთრი ბავშვები,
რომ მერე შენს ღმერთს
შეეწირონ სულით და ხორცით! -
,,მე უკვე მოვრჩი...
და თუკი ვინმე შემლებთ დანდობას,
მე ნუ დამინდობთ,
ერთმანეთი დაინდეთ მხოლოდ".

ნინიკო ძინძიბაძე

ძველი ვაზოებიან

* * *

ყარაიბის (ინდოეთი) ტომის ქალებს ორნაირი სასაუბრო ენა აქვთ: კაცებთან და ქალებთან. კაცებთან სასაუბრო ენა ყველასათვის გასაგებია, ერთმანეთთან კი ისინი კაცებისათვის გაუგებარი ენით საუბრობენ.

* * *

პლუტარქეს გადმოცემით ძველ რომში ბევრი პატივი დაუწესეს ქალებს: მათ ყველა გზას უთმობდა. ქალის თანდასწრებით არ უნდა წარმოეთქვათ უწმაწური სიტყვები. არ შეიძლებოდა ქალების მიცემა სამართალში მკვლელობის ბრალდებით.

* * *

საზღვარგარეთ გამოიანგარიშეს, რომ დიასახლისი, რომელიც უვლის ოთხი სულისაგან შემდგარ ოჯახს, თავის სიცოცხლეში საშუალოდ აკერებს 20 ათას ღილს, 18 ათასჯერ კერავს წინდებს, 55 ათასჯერ ალაგებს ლოგინს, ამზადებს 60 ათასამდე სადილსა და ვახშამს, ახამს 100 ათას ჭიქა ჩაისა და ყავას, ასუფთავებს და რეცხავს 15 ტონა ბოსტნეულს, მილეინამდე თეფშს. ამას გარდა, ის რეცხავს და აუთოებს 220 ათას კვადრატულ მეტრ თეთრეულს.

გიორგი შავიძე

უნდა გამოიცნო, ხის რომელ ტოტს ხედავს გოგონა პირველი ფანჯრიდან, ბიჭუნა მეორე ფანჯრიდან...

მხატვარი სალომე პაიჭაძე

ანზორ (ბიჭოლა) თეთრაძე

ბიჭოლა 12 წლისაა. იგი კულტურის სამინისტროსთან არსებული ხელოვნების კოლეჯის მე-7 კლასის მოსწავლეა და აბრამ ბაზელის მასტერკლასის სახელოსნოშიც სწავლობს. პირველი კაბა ხუთი წლისამ შეუკერა თოჯინა „ბარბის“, დღეს მის კოლექციაში 300-მდე მორთულ-მოკაზმული თოჯინაა. კოლექცია „კოპლები“, რომელიც ბიჭოლამ საგანგებოდ ჟურნალ „დილისთვის“ შექმნა, მისი პირველი ცდაა „საბავშვო მოდაში“.

გამოფენები:

1. ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა; 2. ქარვასლა; 3. ხელოვნების კოლეჯი; 4. ხელოვნების მუშაკთა სახლი; 5. „თაობათა პაემანი“.

ნინო ხუციშვილი

ჩემო პატარა მეგობრებო! ხელით ქსოვა საქართველოში უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ქართველი ქალი სხვა საოჯახო საქმესთან ერთად ამ ლამაზ და სასარგებლო ხელობასაც ეუფლებოდა. მერწმუნეთ, თქვენი ხელით მოქსოვილი ტანსაცმელი თქვენც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

როგორ ვისწავლოთ ქსოვა

ქსოვის დროს ძაფის გორგალი მარცხნივ დაიდეთ. პირველად თვლები ორ ჩხირზე უნდა აკრიფოთ. გორგლიდან წამოსული ძაფი გადაიდეთ მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითზე, დანარჩენი სამი თითით კი ძაფის ორივე წვერი ხელისგულთან გეჭიროთ (სურ. №1), დაიჭირეთ ორივე ჩხირი მარჯვენა ხელში, ზევიდან დაადეთ ცერსა და საჩვენებელ თითს შორის გადებულ ძაფს და დასწიეთ ქვევით და მარცხნივ, შემდეგ ჩხირები ქვევიდან შეუყარეთ ცერზე გადადებულ ძაფს, მოაბრუნეთ მარჯვნივ, საჩვენებელი თითისაკენ მიმავალი ძაფი ჩხირებს ზევიდან გადადეთ და ისევ უკან გამოატარეთ ცერთან შექმნილ ძაფებს შუა (სურ. №2) გადაიძრეთ ძაფი ცერიდან, ორივე ძაფი ქვევით ისე დაჭიმეთ, რომ გორგლიდან მომავალი ძაფი ისევ ცერზე გქონდეთ გადადებული. ჩხირზე აიკრიფება ორი თვალი. შემდეგი თვლების ასაკრეფად ჩხირები ისევ შეუყარეთ ცერთან შექმნილ ორ ძაფს შუა, მოაბრუნეთ მარჯვნივ, საჩვენებელი თითისაკენ მიმავალი ძაფი ზევიდან გადაადეთ და ისევ უკან გამოატარეთ ცერთან შექმნილ ძაფებს შორის, დაჭიმეთ ქვევით თუ მიიღებთ მესამე თვალს, ასე აკრეფთ დანარჩენ თვლებს (სურ. №3).

თვლების გამოქსოვა

თვლების აკრეფას რომ დაამთავრებთ, ერთი ჩხირი გამოაძვრეთ და მარჯვენა ხელში დაიკავეთ, თვლებაკრეფილი ჩხირი კი მარცხენა ხელში გეჭიროთ. გორგლიდან მომავალი ძაფი გაატარეთ მარცხენა ხელის შუა და საჩვენებელ თითებს შორის, გადაიდეთ საჩვენებელ თითზე და თითი ჩხირს მსუბუქად დაადეთ. ძაფი თითზე არ დაიხვიოთ, ეს ულამაზოც არის და თითში სისხლის მოძრაობასაც აფერხებს. თვლები იქსოვება წაღმით და უკუღმით. წაღმა ქსოვა ორნაირად შეიძლება: 1. მარჯვენა ჩხირით პირველი თვალი მოუქსოვლად გადაიტანეთ (ამ თვალს უწოდებენ ნაპირის ან ნაწიბურის თვალს) მეორე და დანარჩენი თვლების მოსაქსოვად მარჯვენა ჩხირი შეიყვანეთ თვალში მარცხენა მხრიდან ზევიდან, მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით წამოსდეთ ძაფს და იმავ თვალში უკან გამოიტანეთ (სურ. №4), გამოქსოვილი თვალი კი გადაიტანეთ მარჯვენა ჩხირზე. ეს იქნება ზევიდან წაღმით გამოქსოვა. 2. მარჯვენა ჩხირი შეიტანეთ გამოსაქსოვ თვალში ისე, რომ მარცხენა ჩხირი ზევით დარჩეს, ჩხირის მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით წამოსდეთ ძაფს და უკან გამოიტანეთ. ეს იქნება ქვეშიდან წაღმით გამოქსოვა (ზოგი შუიდან წაღმასაც ეძახის); ასე ქსოვეთ ყველა თვალი. ორივე მხარეს წაღმით ნაქსოვს შალისებური ნაქსოვი ჰქვია. (სურ.№5).

ლილი ზურაბაშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ

ვიდეოსტუდია **„ალემარი“** გთავაზობთ მულტიპლიკაციურ ფილმებს ქართულ ენაზე, ლიცენზირებულ კასეტებზე, ასევე ფილმებს ორიგინალის ენაზე (ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად და ა.შ.).

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲘᲗ: 93-56-15.

SANCHO

ესპანური სათამაშოების მაღაზია „სანჩო“ გეპატიჟებათ თავის ჯადოსნურ სამყაროში მისამართი: მელიქიშვილის №6, ფილარმონიის პირდაპირ.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲒᲝ?

როგორც ჩვენმა მუდმივმა მკითხველებმა იცით, „დილის“ წინა ნომერში (2000 წლის №6) გაამაშდა „ლატარეა,“ რომლის საიდუმლო, დაპირებისამებრ, ახლა მჟღავნდება: შენს კუთვნილ ეგზემპლარში თუ გვერდის მიმანიშნებელი ციფრი 13 წითლად არის აღნიშნული, მაშინ შენ მოიგე.

პრიზის მისაღებად შენს იღბლიან ჟურნალთან ერთად უნდა გვესტუმრო „დილის“ რედაქციაში.

გელოდებით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 15-დან 17 საათამდე.

ანსამბლი „ᲒᲕᲘᲠᲘᲚᲐ“ იწვევს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვებს. აქ პაგარა მომღერლები პროფესიულ თვისებებს იძენენ, ანსამბლის ხელმძღვანელის ქალბაგინ ᲔᲠᲜᲐ ᲬᲘᲨᲘᲠᲘᲡᲐ მიზანიც მასთან მისული ნიჭიერი ბავშვის კარგ ვოკალისტად ჩამოყალიბებაა.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲓᲘᲚᲐ“

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ

ᲓᲐᲗᲐ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲒᲘ ᲛᲐᲠᲯᲐᲫᲔ

ᲐᲜᲐ ᲯᲔᲓᲘᲐ

ᲐᲜᲘ ᲥᲣᲛᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲜᲠᲘ ᲞᲝᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲧᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ: ᲚᲘᲖᲐᲜ ᲑᲐᲑᲣᲨᲐᲫᲘᲐ, ᲗᲔᲐ ᲛᲘᲥᲐᲘᲐ, ᲜᲐᲜᲘ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐ, ᲛᲐᲓᲓᲐ ᲙᲘᲐᲭᲐᲜᲔᲗᲘᲠᲐᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲜᲘᲜᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲝᲠᲛᲐᲓᲘᲜ ᲥᲐᲚᲓᲐᲜᲘ

ᲧᲓᲐᲖᲔ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ: ᲜᲘᲜᲝ ᲩᲐᲛᲑᲘᲢᲐᲫᲘᲡᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30; გამოდის 1904 წლიდან

ᲤᲐᲡᲘ: 2 ლარი და 50 თეთრი ᲮᲔᲚᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ 2 ლარი